სპორტიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 16 ივლისი 2005 №160 (2483) ფასი 50 თეთრი

იქნება მეშვიდე?

გიორგი დემეტრაძე ალანიას შახლოვდება

2

მორუმბი, სამბა-რუმბა და ჩა-ჩა-ჩა

თასი სან პაულომ მოიგო

5



თავდასხმა ვიტალი კლიჩკოზე

15

გრიშაც აქ არის!

ქართული ფეხბურთის ახალი გენერალი გრიგოლ ცაავა



გიორგი დოლიძაშვილის ფოტო

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ახალი გენერალური მდივანი ჰყავს — გრიგოლ ცაავა, 43 ნლის სოხუმელი კაცი, დიდი თბილისის „დინამოსა" და საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელი. ბოლოს ის საქართველოს ფუტზალის ასოციაციის თავკაცი იყო, გუშინ კი ფედერაციის აღმასკომმა გენმდივნად დაამტკიცა.

— გენერალურ მდივნად დანიშვნა ჩემთვის მოულოდნელი იყო — გვითხრა გრიგოლ ცაავამ — ფედერაციის პრეზიდენტმა ეს პოსტი ორიოდ დღის წინ შემომთავაზა, ცოტა ვიფიქრე და დავთანხმდი, აღმასკომმა კი ამ თანამდებობაზე ერთხმად დამამტკიცა. მადლობა მათ და ფედერაციის პრეზიდენტს.

— ახალი გენმდივნის პირველი საქმე რა იქნება?

— ყველა თანამშრომლის გაცნობა და სამომავლო გეგმებზე საუბარი. ასევე ფიფა-უეფასთან ურთიერთობის დაწყება.

— თქვენამდე ფედერაციის გენმდივანი ვალერი ჩოლარია იყო, უფრო ადრე დავით კვინიკაძე. ამ გამოცდილი ფუნქციონერების შემდეგ არ გაგიჭირდებათ ფედერაციის მართვა?

— ყველა ახალ საქმეს თავისებური სირთულე ახლავს, მაგრამ ჩემი თანაგუნდელების იმედი მაქვს. ვალერი ჩოლარიას ფედერაციისთვის ბევრი კარგი გაუკეთებია, მისი მუშაობიდან სწორი დასკვნები უნდა გავაკეთო და ჩემებური სიახლეებიც დავურთო. შესაძლოა, გამიჭირდეს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, საქმის კარგად კეთებას შევძლებ.

— ფედერაციის განყოფილებებისა და დეპარტამენტების ხელმძღვანელებს როდის დანიშნავთ?

— კანდიდატურებს აღმასკომის უახლოეს სხდომაზე წარვადგენ.

— ვიცე-პრეზიდენტები როდის დაინიშნებიან?

— ეს ფედერაციის პრეზიდენტის პრეროგატივაა. ვიცე-პრეზიდენტებსაც აღმასკომი დაამტკიცებს.

— და კიდევ. უკვე გენმდივნის რანგში კლუბების წარმომადგენლებს შეხვდით. რა ითქვა?

— ის, რომ საქართველოს ჩემპიონატი 30 ივლისს დაიწყება, უმაღლეს ლიგაში 16 გუნდი ითამაშებს და კალენდრის კენჭისყრა 18 ივლისს შედგება. ფედერაციის პრეზიდენტმა კლუბებთან გენმდივნის რანგში წარმადგინა. ვისაუბრეთ საორგანიზაციო საკითხებზე, ჩემპიონატის რეგლამენტზე, მსაჯობაზე... შეხვედრით ყველა კმაყოფილი დარჩა.

ძოგა ინასარიძე

დღეს ნახევარფინალი ფინალია



გიორგი დოლიძაშვილის ფოტო

ახალგაზრდა ქართველი კალათბურთელები ევროსაკვალიფიკაციო ტურნირის ნახევარფინალში გავიდნენ და ერთი ნაბიჯით მიუახლოვდნენ ნანატრ A დივიზიონს. ნუგზარ კანდელაკმა ბელგიის სწრაფი ნაკრები ჯერ გაშიფრა, მერე შეგირდებს სათანადო დავალება მისცა და შედეგიც მოიმკა. ქართველებმა მესამე მეოთხედში გატეხეს ბელგია და გამარჯვებამდე აუღელვებლად მივიდნენ.

ასე და ამგვარად, საქართველო ფინალის ტოლფას ნახევარფინალში გავიდა. თუ კანდელაკი და მისი ბიჭები დღეს უნგრეთის დაშამათებასაც შეძლებენ, ქართველები ფინალის, ანუ A დივიზიონის საგზურს მოიპოვებენ და ევროპის ელიტაში აღზევდებიან.

რაც კარგია, კარგია

...სიცხისა და ორი გოლის გარდა

ნეტავ, ბატეს ნაცვლად „ბანანცი“ შეგვხვედროდაო, სინანულით ამბობდა ოთარ გაბელია ბელარუსების ვარჯიშის ყურებისას. არ ვიცით, მოერეოდნენ თუ არა ქუთათურები სომხებს, მაგრამ თბილისის „ლოკომოტივი“ კი მოერია — თანაც, თამაშის მსვლელობიდან გამომდინარე, საკმაოდ იოლადაც. რკინიგზელებმა გასული სეზონის მეორე ეტაპზეც დაგვანახვეს პერსპექტივა. მწვრთნელ ნოდარ აკობიას რამდენიმე პერსპექტიული ჭაბუკი ჰყავს, რომლებმაც მეტოქეს სტუმრად 82 წუთს განმავლობაში შავი დღე აყარეს. და მაინც, აკობია ფრთხილობს: 3:2-ის მაგივრად 4:0 ან 5:0 მოგებაც შეგვეძლო, ახლა კი შემდეგ ეტაპზე გასასვლელად თბილისშიც ბრძოლა მოგვიწევსო...



ბაადრი ჯეთილაძის ფოტო

— მატჩის წინა დღეს ირაკლი სირბილაძემ ვარჯიშზე ტრავმა მიიღო. ის ჩვენთვის დიდი ბალაა, მაგრამ თავდასხმაში მაინც არ გაგვჭირვებია — გიორგი კახელიშვილმა და გიორგი ალავერდაშვილმა ძალიან ყოჩაღად ითამაშეს, მუდმივად დაძაბულობაში ჰყავდათ „ბანანცის“ მცველები. მთლიანობაში სანახაობრივად კარგი თამაში იყო, გულშემატკივრებმა ტაშით გამოგვაცილეს.

— უზბეკმა ისლომ ინომოვმა გუნდთან ერთად რამდენიმე დღე ივარჯიშა, მისი ძირითადში დაყენება თქვენი მხრიდან რისკი ხომ არ იყო?

— არა. ინომოვს ვარჯიშებზე შევატყვე, რომ კარგი ფეხბურთელია. მშვენივრად იყო მომზადებული, ზედმეტი წონა არ ჰქონდა. „ბანანცთან“ იგი ერთ-ერთი საუკეთესო იყო, პირველი გოლი ალავერდაშვილმა სწორედ მისი ჩინებული გრძელი პასით გაიტანა. ძალიან კარგი იყო ლაშა ქებაძეც: პენალტიც მოინადირა, გოლიც გაიტანა, პირველ ტაიმში ძელსაც მოარტყა ბურთი და ბევრი იმოძრავა.

— დავით სირაძემ როგორ ითამაშა?

— საშუალოდ. მაინც ეტყობა, რომ გუნდთან შეუჩვეველია. სირაძისგან უფრო მეტს ველით.

— ბოლო წუთებზე ორი გოლის გაშვება რისი ბრალი იყო, ბიჭები მოეშვნენ?

— ასე ვერ ვიტყოდი. 3:0-ზე ორი კარგი მომენტი გვქონდა, ერთხელაც „ბანანცის“ მეკარე ივარდავამ სასწაული ბურთი აიღო. ალბათ, ჩვენი ახალგაზრდების გამოუცდელობის ბრალი იყო ის ორი გოლი.

— ივარდავას თქვენ აქებთ, „ბანანცის“ მწვრთნელს კი გაშვებულ გოლებში სწორედ ის დაუდანაშაულებია.

— აი, მაგას ვერ მივხვდი. ეტყობა, სომხები მიზეზებს ეძებდნენ და ივარდავას რაღაცები მოუგონეს.

— თქვენც ხომ არ შეგხვედრიათ პრობლემა, როგორ მიგიღეს?

— ძალიან კარგად. მშვენიერი მინდორი იყო, ყოველმხრივ ნორმალურად მოვემზადეთ. ეგაა, აუტანელმა სიცხემ დაგვტანჯა.

— სტუმრად 3:2 საკმაო ფორაა. როგორ შეატყვეთ, შეუძლია „ბანანცს“ თბილისში მოგება?

— მე არ ვთვლი, რომ უკვე შემდეგ ეტაპზე ვართ. „ბანანცი“ საშუალო დონისაა, ხელწამოსაკრავი გუნდი არაა და რაღაც მომენტებში გაგვიმართლა კიდეც. სხვათა შორის, ჩვენთან თამაშის წინ სასწრაფოდ სამი მოლდოველი და ერთი ბრაზილიელი დაიმატეს.

— განმეორებით მატჩში „ლოკომოტივს“ ვინმე დაემატება?

— ედიკ საჯაია გვეყოლება. სირბილაძე კი მიწაზე ფეხს ვერ ადგამს და მისი რა გითხრათ...

ილია ნანობაშვილი

იქნება მეშვიდე?

გიორგი დემეტრაძე ალანიას შაახლოვდება

გიორგი დემეტრაძემ, შესაძლოა, „ალანიას“ მაისურა ისევ მოიგოს

გიორგი დემეტრაძემ უკრაინული სეზონი რიხით დაიწყო, პირველივე ტურში „სტალს“ ორი გოლი გაუტანა და იქაურ პრესას თავიც შეაქებინა. დონეცკის „მეტალურგს“ ლევან ცქიტიშვილიც შეუერთდა, რამაც „დემე“ გაახარა, ახლა უფრო მოვმარაგდები პასებით და მეტ გოლს გავიტანო. გიორგიმ 26-ნომრიანი მაისურა 99-ზე გაცვალა და „სტალთან“ ნამატჩევს თქვა, ორი ცხრიანი ჩემთვის იღბლიანი ყოფილაო.

...და უცებ გაჩნდა ინფორმაცია, რომ დემეტრაძე ვლადიკავკაზის „ალანიაში“ გადადის. ლაპარაკია სეზონის ბოლომდე განათხოვრებაზე, ოღონდ ტრანსფერის საბოლოოდ გამოსყიდვის უფლებით. რუსები წერენ, ქართველ ფორვარდს ოსეთში თამაში სურს, მხოლოდ რამდენიმე დეტალი აქვს გასარკვევი „მეტალურგის“ ხელმძღვანელობასთანო.

გიორგის შეძენის სურვილს „ალანიას“ პრეზიდენტი სერგეი ტაკოევიც ადასტურებს: „ჩვენ არ გვაქვს ისეთი დალხენილი ფინანსური მდგომარეობა, რისკზე რომ წავიდეთ. ამიტომაც ექსპერიმენტებს არ მივმართავთ, მხოლოდ იმ ფეხბურთელებს ვიყიდით, რომლებსაც ვიცნობთ, გამოცდილები არიან და „ალანიას“ შველა შეუძლიათ“.

ძნელად სავარაუდოა, დონეცკის „მეტალურგი“ დემეტრაძეს იოლად შეელიოს. მით უმეტეს, რომ ზედ სეზონის წინ პერუელი ანდრეს მენდოსა „მარსელში“ გაყიდეს და თავდასხმა დაუობლდებათ. ამ „ალანიასი“ კი ვერაფერი გაგვიგია — სულ არეული ფინანსური სიტუაცია თუ აქვთ, ამდენ ფეხბურთელს როგორ ეკურკურებიან...

შეგახსენებთ, რომ „დემეს“ 1998-99 წლებში, შემდეგ კი 2002 წელსაც უთამაშია „ალანიაში“ და სტატისტიკა ყველაფერზე ლაპარაკობს: ვლადიკავკაზში ჩვენიანს 54 მატჩში 41 გოლი გაუტანია.

მოკლედ, „ალანიასა“ და „მეტალურგს“ შორის მოლაპარაკება მიმდინარეობს და თუ შეთანხმება მოხდა, გიორგი მესამედ დაუბრუნდება ოსურ კლუბს, სადაც მას ექვსი ქართველი დახვდება: დავით კვირკველია, გიორგი შაშიაშვილი, ლადო ბურდული, ლევან გვაზავა, ვიტალი დარასელია და ჯაბა კანკავა. იქნება „დემე“ მეშვიდე?..

ილია ნანობაშვილი

ავსტრია

I დივიზიონი. II ტური

აუსტრია (ლ) 1:0 ლინცერი

გრაცკორნი 3:1 ლეობენი

კაპფენბერგი 0:1 ალტახი

კერნტენი 1:2 აუსტრია (მ)

კუფშტაინი 1:0 შვანენშტადტი

ხორვატია

სუპერთასის ფინალი

ჰაიდუკი 1:0 რიეკა

ირლანდია

პრემიერლიგა

XVII ტური

უოტერფორდი 1:2 გრეი

შემროკი 0:2 დერი სიტი

დუბლინი 1:0 სენტ პატრიკსი

შვეიცარია

ჩემპიონატი. I ტური

ბადენი 1:1 ლუგანო

კონკორდია 0:1 იუვენტუსი

PEACE CUP 2005

B ჯგუფი. I ტური

ონსე კალდასი (კოლუმბია) 1:1 ლიონი (საფრანგეთი)

პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) 2:1 სეონგნამი (სამხრეთ კორეა)

ბათუმი გაცოცხლდა

ფული, თურქეთი და ამბიცია

ზამთრიდან მოყოლებული, „ბათუმი“ ლამის ყოფნა-არყოფნის ზღვარზე იყო. ზოგიერთ მატჩში გუნდმა 16-17 წლის ბავშვებით ითამაშა.

ერთი კვირის წინაც ასეთი მდგომარეობა იყო, კლუბს ფინანსები არ ჰქონდა და ფეხბურთელები შემოეფანტნენ, მაგრამ გუშინ „ბათუმის“ მთავარმა მწვრთნელმა ამირან გოგიტიძემ კარგი ამბავი გვამცნო — კლუბის ხელმძღვანელობა აჭარის პირველკაც ლევან ვარშალომიძეს შეხვედრია და ახალ სეზონში სამყოფი ფინანსური გარანტიები მიულია.

— ბათუმში სრულფასოვნად ვემზადებით, 19 ივლისს თურქეთში მივდივართ შეკრებაზე, სადაც სამ ტესტ-მატჩს გავმართავთ, იქიდან 28-ში დავბრუნდებით. მანამდე კი, გუშინ, „ბორჯომთან“ 1:2 წავაგეთ, თურქეთში წასვლამდე „სიონსა“ და „კახეთსაც“ გავეჯიბრებით. ისინიც ბათუმში არიან შეკრებაზე — გვითხრა ამირან გოგიტიძემ.

20 ივლისს ზღვისპირელები თურქეთში იქაურ „ტრაბზონთან“ ითამაშებენ, დანარჩენ ორ მატჩს კი 23 და 26 ივლისს გამართავენ. ფინანსური მდგომარეობის შესაბამისად, „ბათუმი“ შემადგენლობასაც ნელ-ნელა ალაგებს. გუნდში დაბრუნდა ლიდერი ვიტალი დარჩიძე, რომელიც ბოლნისის „სიონში“ ვარჯიშობდა და მისი იქ გაღასვლა თითქმის გადაწყვეტილი იყო. დარჩიძის გარდა „ბათუმს“ ზვიად ქაცარავა, ბესიკ თედორაძე და ზურაბ ექონია შეუერთდნენ. შეგახსენებთ, ექონია გასული სეზონის პირველ ეტაპზეც თამაშობდა აჭარულ გუნდში, ზამთრიდან კი თბილისის „ლოკომოტივში“ იყო. კვლავ არ ჩანს ევტერანი ფორვარდი ლევან ხომერიკი, თუმც ამირან გოგიტიძემ გვითხრა, კიდევ ვაპირებთ ფეხბურთელების დამატებას — ისეთი გუნდი უნდა გავაკეთოთ, რომ მარტო არგავარდნისთვის არ ვიბრძოლოთო.



ვიტალი დარჩიძე ისევ ბათუმშია

ილია ნანობაშვილი

ლევადია სამლარიანია

როგორც იცით, თბილისის „დინამოსა“ და ტალინური „ლევადიას“ საპასუხო საჩემპიონთალიგო შეხვედრა 19 ივლისს გაიმართება ეროვნულ სტადიონზე. მატჩი 19 საათზე დაიწყება, ყველა ბილეთი 3 ლარი ეღირება და მისი ყიდვა ხვალიდან შეგეძლებათ. იმედია, ბილეთი ქართველ ქომაგებს არ ეძვირებათ და „დინამოს“ მხურვალედ დაუჭერენ მხარს.

„ლევადია“ კი ორშაბათს ჩამოვა თბილისში და იმავე საღამოს „ეროვნულზე“ ივარჯიშებს.

ლუკა თალაკვაძე

აღმასკომი: დღე პირველიც და ბოლოც

ნოდარ ახალკაცი: ალენ ჟირესს ფულს ვერ მივცემთ

ფოტო: ფეხბურთელი.ge

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომი შეიკრიბა, პირველად ნოდარ ახალკაცის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ და ალბათ ბოლოს ამ შემადგენლობით.

აღმასკომს სამი მნიშვნელოვანი საკითხი ჰქონდა განსახილველი და, როგორც მოგვიანებით გამართულ პრეს-კონფერენციაზე ნოდარ ახალკაცმა გვითხრა, სამივე საკითხი ერთხმად დამტკიცდა.

მაშ ასე: ფეხბურთის ფედერაციას ჰყავს ახალი გენერალური მდივანი — 43 წლის გრიგოლ ცაავა. ფედერაციას აქვს ახალი საშტატო განრიგი და სტრუქტურა. ფედერაციის მე-10, რიგგარეშე ყრილობა გაიმართება 30 აგვისტოს

ფოტო: ფეხბურთელი.ge

გრიგოლ ცაავა ფეხბურთის გენერალი გახდა

— მახარებს ის ფაქტი, რომ ფედერაციის აღმასკომი ერთი ოჯახივით იყო და დღეს განსახილველი ყველა საკითხი ერთხმად დაამტკიცა. გადავწყვიტეთ, რომ ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა 30 აგვისტოს გაიმართება და იქაც სამი საკითხი იქნება: მივიღებთ ფედერაციის წესდებას ახალი რედაქციით, ავირჩევთ აღმასკომის ახალ შემადგენლობას და ვიმსჯელებთ სხვადასხვაზე — გვითხრა პრესკონფერენციაზე ნოდარ ახალკაცმა და იქვე ახალი გენერალური მდივანი გრიგოლ ცაავა წარმოგვიდგინა.

— ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი დღეა, მადლობა ნოდარ ახალკაცსა და აღმასკომს ასეთი ნდობისთვის. კონკრეტულად ჯერ ვერაფერს გეტყვით, თუმც ფედერაციის საქმიანობაში ბევრი რამ შეიცვლება. ფეხბურთი ჩვენი ცხოვრებაა და მისი დონის ასამაღლებლად ყველამ ერთად უნდა ვიმუშავოთ — თქვა ახალმა გენმდივანმა.

სიტყვა კი ისევ ნოდარ ახალკაცმა განაგრძო, რომელმაც მეტწილად ფედერაციის ახალ სტრუქტურაზე ილაპარაკა და რომლის გრაფიკულ გამოსახულებას აქვე გთავაზობთ. ახალკაცის ფედერაციაში სულ 54 საშტატო ერთეული იქნება, პრეზიდენტითა და სამი ვიცე-პრეზიდენტით დაყებული, განყოფილება-დეპარტამენტების უფროსებითა და ინსტრუქტორებით დამთავრებული.

— ახლა უკვე რა მნიშვნელობა აქვს, გენმდივნის პოსტზე ვის კანდიდატურებს განვიხილავდით? მთავარია, რომ ფედერაციას ახალი გენმდივანი ჰყავს. აღმასკომმა არჩევანი სწორედ გრიგოლ ცაავაზე გააკეთა.

— ახალ აღმასკომში რამდენი წევრი იქნება, ვერ გეტყვით, ჩემი პროგატივა ეს არ არის, ყრილობამ უნდა განსაზღვროს. ვეცდებით, რომ ახალი აღმასკომი მაქსიმალურად ქმედითუნარიანი იყოს. უეფას აღმასკომში 14 წევრია. ჩვენ 21 გვყავს. ისე კი, მსურს, ფედერაციის ახალი აღმასკომი 7-11 წევრით დაკომპლექტდეს. თუმც, ვიმეორებ, ეს საკითხი ყრილობის გადასაწყვეტია.

— გრიგოლ ცაავას ფეხბურთის ფედერაციასთან ინდივიდუალური ხელშეკრულება აკავშირებს და ის ფედერაციის გენერალურ სამდივნოს უხელმძღვანელებს... გენერალური სამდივნო ანუ მთავარი ოფისი, ჭავჭავაძის 76ბ, ფეხბურთის ფედერაცია, როგორც გენებოთ... გრიგოლ ცაავა ფედერაციის ყოველდღიურ საქმიანობას გაუძღვება.

— სრული ნონსენსი იყო, რომ ფეხბურთის ფედერაციას იურისტი არ ჰყავდა, არადა, ასეთი შტატი აუცილებელია. ადრე ფედერაციაში არ იყო საფინანსო და კომერციული განყოფილებები, არ იყო არც სამეურნეო დეპარტამენტი, ყველა ამ ფუნქციას ერთი, საერთო განყოფილება ითავსებდა.

— სტრუქტურულად საქართველოს ნაკრების მწვრთნელს რამდენიმე ზემდგომი ჰყავს, მაგრამ რეალურად ის ფედერაციის პრეზიდენტს დაექვემდებარება.

— სადღეისოდ ფეხბურთის ფედერაციას ალენ ჟირესის 70 ათასი ვალი აქვს, რომელიც ძველი ფედერაციიდან ბონუსის სახით ერგებოდა. დღევანდელ ფედერაციას კი ამ თანხის გადახდის საშუალება არ აქვს, ის ჩამოვა როცა, ჩვეულებრივ, ერთი თვის ხელფასს მიიღებს. ფედერაციის ყოფილი გენმდივნის არ მესმის: ალენ ჟირესს ვალერი ჩოლარიასთან ერთად შეევხვდი. ჩოლარიამ თქვა, რომ მწვრთნელს ბონუსს იმიტომ ვერ ვუსტუმრებთ, სპონსორი „ფერო" კუთვნილ ფულს არ გვაძლევს. ახლა კი „ზესტაფონმა" ახალკაცის საპრეზიდენტო კანდიდატურა წამოაყენა და თუ არჩევნებში მან გაიმარჯვა, ბონუსსაც ის გადაიხდისო. ვერ გამიგია, „ზესტაფონმა" თუ წამოაყენა ჩემი კანდიდატურა, ჟირესის ბონუსი „ფერომ" რატომ უნდა გაისტუმროს. მოკლედ, ჟირესთან ურთიერთობა გასარკვევი გვაქვს. ის თბილისში ჩამოსვლას 30 ივლისს აპირებდა, 15 აგვისტოს კი ყაზახეთში შესარჩევი მატჩი გვაქვს. ვფიქრობ, ნაკრების მწვრთნელი მატჩამდე ორი კვირით ადრე არ უნდა ჩამოდიოდეს, ეს ჩვენთვის მიუღებელია. მას აქ უფრო მეტი დროის საქმე აქვს და ამიტომაც ვთხოვეთ, რომ 20 ივლისისთვის ჩამოვიდეს.

— სპონსორებთან ურთიერთობა ნელ-ნელა დალაგდება, ჯერ ფედერაციის შიდა საქმიანობას მოვაწესრიგებთ და ამის შემდეგ მათთან თანამშრომლობის ყველა დეტალს ხელახლა განვიხილავთ.

— ფედერაციის ახალი პრეს-მდივანი თქვენი კოლეგა თამაზ ბოკერია იქნება და ჩვენთან ურთიერთობა არ გაგიჭირდებაო

— პროფლიგასთან ერთად საქართველოს ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ყველა სავარაუდო მონაწილე გუნდს წერილები გავუგზავნეთ, ვკითხეთ, აქვთ თუ არა უმაღლეს ლიგაში თამაშის საშუალება წინა გუნდმა დადებითი პასუხი მოგვცა ერთხელაც გაფიქსირებთ, რომ არ გარ მომხრე, გუნდებმა ჩემპიონატის დაწყებამდე გარკვეული თანხის გარანტიები წარმოადგინონ, მსურს, მათ ბიუჯეტი გვანახონ და შემოსავალ-გასავალი ერიმასეის დაემთხვეს. მოუთმენლად ველი ახალი ჩემპიონატის დაწყებას ვიცი, რომ ჩემპიონატი ალალი და იდეალური არ იქნება, მაგრამ არც საშუალოა. ალბა თუ არა უმაღლეს ლიგაში თამაშის საშუალება ეროვნულ ნაკრებში, რომ არ ვარ მომხრე, გუნდებმა ჩემპიონატის დაწყებამდე გარკვეული თანხის გარანტიები წარმოადგინონ, მსურს, მათ ბიუჯეტი გვანახონ და შემოსავალ-გასავალი ერიმასეის დაემთხვეს. მოუთმენლად ველი ახალი ჩემპიონატის დაწყებას ვიცი, რომ ჩემპიონატი ალალი და იდეალური არ იქნება, მაგრამ არც საშუალოა.

ძოგა ინასარიძე







ერევანი ქართველებზე

პრეზიდენტი, და და აკადემიკოსი

ერევანი თბილისზე პატარა ქალაქია, ტაქსით და სასტუმროთი დაწყებული, მომსახურების სხვა სფეროებით დამთავრებული, მაგრამ ერევანს ძალიან განსაკუთრებული ხიბლი აქვს — ამ ქალაქში არ უყვართ გინება, ჩხუბი, მოძრაობის წესების დარღვევა და საერთოდ, აყალმაყალი — ღამის ერევანი ნამდვილი ხავერდია, ხალხი ქალაქის ცენტრშია გამოსული და ღია კაფე-რესტორნებსაც კლიენტი არ აკლიათ.

...თქვენთან, თბილისში ოფიციანტს ლუდი გახსნილი ბოთლით მოაქვს, ხოლო ჩვენთან ყველაფერს კლიენტის მაგიდაზე ხსნიან, კოკა-კოლასაც კი — ერევნელებს უყვართ ასეთი შედარებები, მაგრამ აქ აგრესია და ბოღმა არაფერ შუაშია, თორემ ბევრად უფრო ზუსტი, მწვავე და უპირატესობის მომტანი ფაქტ-არგუმენტებიც მოეპოვებათ — მიზეზი უბრალო და მარტივია — ერევანში ბევრად უკეთესი სიტუაციაა, ვიდრე თბილისში.

სომხეთის დედაქალაქში „ბანანც" — „ლოკომოტივის" მატჩისთვის გახლდით და შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ფეხბურთი იქ არაა ისეთი მძლავრი სოციალური ფენომენი, როგორც საქართველოში. ერევანში ფეხბურთზე ლაპარაკს პოლიტიკაზე ბაასი ბევრად ურჩევნიათ.

რობერტ ქოჩარიანი სომხეთის პრეზიდენტი მალე აღარ იქნება, ქვეყნას სერჟ სარქისიანი გაუძღვება, ვინც ახლა თავდაცვის მინისტრია და რეალურ ძალაუფლებასაც ფლობს — ასე მიაჩნიათ ერევანში, თუმც ეგებ ეს საყოველთაო აზრი სულაც არ იყოს.

„აზგ", „არავუდ", „ჰაიოს აშხარ" — სომხეთში წამყვანი ოპოზიციური გაზეთებია, ყველაზე პოპულარულები, რომელთა მიერ შავით თეთრზე დაწერილს დიდ ანგარიშს უწევენ სომხურ საზოგადოებაში. ეს გამოცემები იუწყებიან, რომ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სომეხია და მისი აღმატებულების გვარს ასე წერენ და წარმოთქვამენ — საჰაკაშვილი. ერთ-ერთ ამ გაზეთთაგანის მტკიცებით, საჰაკიანების ძირი სომხეთის სოფელი ბალნასია. ჩვენს კიდევ ერთ პრეზიდენტზე, ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელ ნოდარ ახალკაცზე კი ფეხბურთზე მწერალმა სომეხმა ჟურნალისტებმა მითხრეს, ვიცით, რომ მისი გაპრეზიდენტება საჰაკაშვილის მომხრეების ძალისხმევის შედეგიაო. კიდევ, სომხეთში ძალიან უყვართ ჩვენი პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე — მისი დიდი ბებია ქუთაისელი სომეხი იყოო. „ჩვენი და ნინო" — ასე რამდენჯერმე მოუხსენიებიათ სომხურ გაზეთებში ქალბატონი ბურჯანაძე.

მაგრამ ხანდახან სომხებს აშკარა ლაფსუსებიც მოსდით — მითხრეს, ალენ ჟირესს ხელფასს ქართველთა დიასპორა უხდისო — ასეთ მცდარ, მაგრამ გულუბრყვილო ინფორმაციაზე ნამდვილად ვერ გაბრაზდები — სომხური დიასპორა ისე მძლავრად ეხმარება სომხეთს, რომ ჟირესის ქართული დიასპორისგან დაფინანსების მითი ალბათ აქედან მოდის. სომხურ დიასპორას მილიონერი არგენტინაშიც კი ჰყავს — ედუარდ ერნიკიანი ერევნის აეროპორტის რეკონსტრუქციაზე ხარჯავს საკუთარ მილიონებს.

თუმც არც ერევანში მოღვაწე ბიზნესმენები იშურებენ ფულს ქველი საქმეებისთვის. ლუდის მაგნატი გაგიკ წარუკიანი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტია, მისი ლუდი „კოტაიკი" ერევანში მართლაც პოპულარულია, თუმც კონკურენტებიც ჰყავს. წარუკიანს უცნაური თიკუნი აქვს — „დოდ", რაც ჩვენებურად სულელს ნიშნავს.

დამპირდნენ, „ლოკომოტივ" — „ბანანცზე" რამდენიმე სომეხი ჟურნალისტი ჩამოვალთო. სომხეთში ფეხბურთზე მხცოვანი ხალხიც წერს, რომლებსაც თანამედროვე ფეხბურთზეც საკმაო ინფორმაცია აქვთ და საერთოდ, სომხეთში ძველახალ თაობებს ერთი ქართველი კერპი ჰყავთ. „დიდებული ფეხბურთელები იყვნენ ჩივაძე, შენგელია, დარასელია, აბა, მიხეილ მესხი ვინ არ იცის, მაგრამ ის სულ სხვა იყო, ის აკადემიკოსი იყო" — დაახლოებით ყველა ამ ფრაზას წარმოთქვამდა ჩემთან საუბარში, ეს იყო ნოსტალგია, სიყვარული — დავით ყიფიანი სომხებსაც განსაკუთრებულად აჯადოებდა.

დავით თავართქილაძე

ერევანი — თბილისი

ფიორენტინას მაკინვა შეეშვება

ლუკა ტონი მომავალ სეზონში „ფიორენტინას" ღირსებას დაიცავს. თითქმის ჩაშლილი ტრანსფერი საბოლოოდ მაინც განხორციელდა, რადგანაც „პალერმო" კომპრომისზე წავიდა და გადაწყვიტა, ფლორენციელთა წინადადება მიეღო. ასე და ამგვარად, 28 წლის ფორვარდი „არტემიო ფრანკიზე" 2009 წლის ივნისამდე დარჩება და სეზონში 1 მილიონ გირვანქას მიიღებს.



ლუკა ტონი ფიორენტინელია

როგორც იცით, სიცილიელები ტონის სანაცვლოდ 10 მილიონ გირვანქას ითხოვდნენ, ხოლო „იები" მხოლო 7-ს იხდიდნენ. ამით უკმაყოფილო „პალერმოს" ბოსებმა განაცხადეს, ტრანსფერი აღარ შედგებაო, მაგრამ სტეფან მაკინვას გადაბირების შემდეგ აზრი შეიცვალეს. საბოლოოდ მხარეები 7,2 მილიონზე შეთანხმდნენ.

„იგი ჩვენი მთავარი სამიზნე იყო და მოხარული ვარ, რომ ყველაფერი მოგვარდა. ტონიმ ბოლო ორ სეზონში 50 გოლი გაიტანა და იმედია, ტემპს შეინარჩუნებს. მას ისეთი თვისებები აქვს, რომლითაც ბევრი ფორვარდი კარგ დაკვრას. მანაც „ფიორენტინაში" გადმოსვლა თავადაც უნდოდა. მოლაპარაკებები ძალიან გაიწელა, მაგრამ გადამწყვეტი როლი სწორედ ლუკას სურვლმა ითამაშა" — თქვა ფლორენციელთა მთავარმა მწვრთნელმა ჩეზარე პრანდელიმ.

აქვე „პალერმოს" ახალწვეულ სტეფან მაკინვასაც მოვუსმინოთ:

„მიხარია, რომ გუნდის პრეზიდენტს საწადელი ავუსრულე. იგი ჩემდამი კომპლიმენტებს არ იშურებდა. აქ გადმოსვლით მეც ძალიან ბედნიერი ვარ. ცხადია, სასიამოვნოა, როდესაც „ინტერის" დონის კლუბი შენით დაინტერესებულია და ჩემს თანამემამულე ობაფემი მარტინსთან ერთად თამაშიც ჩინებული იქნებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა, რასაც არ ვნანობ. ახლა მხოლოდ „პალერმოზე" ვარ კონცენტრირებული".

გიორგი ძაძაბაძე

ინტერი ოცნებებს უსრულებთ



დავიდ პიზარო „ინტერში" სავარაუდოდ, ემრე ბელოზოღლუს შეცვლის

როგორც მოსალოდნელი იყო, მილანის „ინტერი" დატოვა ემრე ბელოზოღლუმ, მის ადგილს კი გუნდში დავიდ მარსელო პიზარო დაიკავებს. ამ ტრანსფერების ბედი კვირის დასაწყისშივე გადაწყდა, თუმც ყველაფრის საბოლოოდ მოგვარებას რამდენიმე დღე დასჭირდა.

ინგლისური „ნიუკასლი" თურქ ნახევარმცველში „ნეროაძურის" დაახლოებით 4 მილიონ გირვანქას გადაუხდის. თავად ფეხბურთელთან კი „კაჭკაჭებმა" უკვე გააფორმეს ხუთწლიანი კონტრაქტი.

„ძალიან მიხარია, რომ ყველაფერი საბოლოოდ მოგვარდა. პრემიერლიგაში თამაში ყოველთვის მსურდა. „ნიუკასლი" კი ერთ-ერთი საუკეთესო კლუბია. ყველაფერს გავიღებ, რათა საუკეთესო თვისებები გამოვავლინო და ბოლომდე დავიხარჯო. მინდა, მადლობა გადავუხადო გუნდის მთავარ მწვრთნელ გრემ სუნესსა და მმართველ ფრედი შეპარდს, რომლებიც ბოლომდე მენდობიან" — ეს გახარებული ემრეს სიტყვებია.

დიდი ხნის ოცნება აუხდა ჩილელ პიზაროსაც. „უდინეზეს" ყოფილი ნახევარმცველი უკვე ორი წელია, რომელიმე გრანდში გადასვლას ცდილობდა. ბოლო დროს კი ყველაზე მეტად „ინტერის" მაისურას მორგება სურდა და აისრულა კიდეც საწადელი.

პიზარო „სან სიროზე" 2009 წლის 30 ივნისამდე იბურთავებს. ტრანსფერის სხვა დეტალები კი ჯერჯერობით არ ხმაურდება. აპენინური ჟურნალ-გაზეთების ცნობით, „შავ-ლურჯებმა" მასში 7,5 მილიონი გირვანქა გაიღეს და გორან პანდევის კონტრაქტის ნახევარიც „უდინეზეს" დაუთმეს.

ჩილელის წასვლის გამო „ფრიულის" ბინადრებს მისი შემცვლელის ძებნა, რა თქმა უნდა, მოუწევთ — უმთავრესი კანდიდატი კი ლაციოელი ფაბიო ლივერანია.

გიორგი ძაძაბაძე

ჯენასს სხვის ჯიბაზე არ გაუშვებენ

ინგლისის ნაკრებისა და „ნიუკასლის" პერსპექტიული ნახევარმცველი ჯერმენ ჯენასი შესაძლოა, უახლოეს დღეებში „არსენალში" აღმოჩნდეს. „მეთოფეთა" რიგებიდან ედუსა და პატრიკ ვიეირას წასვლა არსენ ვენგერს იძულებულს ხდის, სულ ცოტა, ერთი ცენტრალური ნახევარმცველი მაინც დაიმატოს. ფრანგი სპეციალისტისთვის ყველაზე სასურველი სწორედ 22 წლის ჯენასი ყოფილა, მაგრამ „კაჭკაჭები" მის გასხვისებას კატეგორიულად უარობენ.



ჯერმენ ჯენასი

„ჩვენ „არსენალთან" კონტაქტი არ გვქონია. შემიძლია, კიდევ ერთხელ გავიმეორო, რომ ჯენასის გაყიდვას არ ვაპირებთ. ჯერმენი გუნდის მნიშვნელოვანი წევრია და მის მომავალს სწორედ „სენტ ჯეიმს პარკზე" ვხედავ" — თქვა „ნიუკასლის" მმართველმა ფრედი შეპარდმა.

ჯენასთან განშორებას გამორიცხავს „კაჭკაჭთა" თავკაცი გრემ სუნესიც: „გუნდის საუკეთესო ფეხბურთელებს არ ვყიდით, ამ თემაზე საუბარიც უაზრობად მიმაჩნია".

ინტერტოტოს თასზე „დუბნიცასთან" მატჩის განაცხადში ჯენასის არშეყვანამ ბრიტანულ პრესაში ჭორების ახალი ტალღა ააგორა და ეჭვები გაზარდა. თავად ფეხბურთელს კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია, ხოლო „ჯორდები" ირწმუნებიან, ამაში განსაკუთრებული არაფერია, უბრალოდ, რამდენიმე მოთამაშეს დასვენების საშუალებას ვაძლევთო.

და მაინც: როგორც ამბობენ, „ნიუკასლში" სკოტ პარკერისა და ახლა უკვე ემრეს გადასვლამ, გუნდიდან ჯენასის წასვლის შანსი ერთიორად გაზარდა.

გიორგი ძაძაბაძე

Copa Toyota Libertadores '2005

ᲚᲘᲑᲔᲠᲢᲐᲓᲝᲠᲔᲡᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ 2005

ᲤᲘᲜᲐᲚᲘ, ᲡᲐᲕᲐᲡᲣᲚᲝ ᲛᲐᲢᲩᲘ

ᲛᲝᲠᲣᲛᲑᲘ, ᲡᲐᲛᲑᲐ-ᲠᲣᲛᲑᲐ ᲓᲐ ᲩᲐ-ᲩᲐ-ᲩᲐ ᲒᲐᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲠᲐᲓᲐ ᲣᲜᲓᲝᲓᲐ?

AFP სან პაულუდან

„სან პაულუმ“ ლიბერტადორესის თასი მესამედ აღშართა

სან პაულუ (ბრაზილია) 4:0 ატლეტიკო პარანენსე (ბრაზილია) (1:1)
1:0 ამოროზო (17), 2:0 ფაბაუ (52), 3:0 ლუიზაო (71), 4:0 დიეგო ტარდელი (90)
სან პაულუ: როჟერიო სენი, ფაბაუ, დიეგო ლუგანო, ალექსი, სისინიო, მინეირო, ხოსუე, დანილო, ჟუნიორი (ფაბიო სანტოსი 85), ამოროზო (დიეგო ტარდელი 79), ლუიზაო (სოუზა 72)
მწვრთნელი: პაულო აუტორი
ატლეტიკო პარანენსე: დიეგო, ჟანკარლოსი, დანილუ, დურვალი, მარკაუ (როდრიგო 60), სოსიტო, ანდრე როჩა (ალან ბაია 83), ფაბრისიო, ევანდრო, ლიმა (ფერნანდინიო 61), ალოიზიო
მწვრთნელი: ანტონიო ლოპესი
გაფრთხილება: დიეგო ლუგანო, ევანდრო, სოსიტო, ფაბაუ, დანილო, ფაბრისიო, ანდრე როჩა
მსაჯი: ჰორაციო ელიზონდო (არგენტინა)
75 000 მაყურებელი

ᲡᲐᲞᲐᲡᲣᲮᲝ ფინალურ მატჩში „სან პაულუმ“ „ატლეტიკო პარანენსე“ 4:0 მიანგრია და პირველი ბრაზილიური გუნდი გახდა, რომელმაც ეს ჯილდო მესამედ მოიგო.

„მორუმბიზე“ ნამატჩევს 75 ათასი ფანი ხარობდა, ხალხი მოედანზე გადავიდა და მოზეიმე ფეხბურთელებს შეერია. თამაშის დაწყებამდე უბილეთო ქომაგები სტადიონის შესასვლელს მიაწყდნენ, პოლიციელებს ქვები დაუშინეს და სამაგიეროდ ცრემსადენი გაზი მიიღეს.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დორტმუნდის „ბორუსიას“ ყოფილი ფორვარდი მარსიო ამოროზო დაასახელეს, რომელმაც პირველი ტაიმის შუაში გახსნა ანგარიში. დანილოს დარტყმული ბურთი „ატლეტიკო პარანენსეს“ მეკარემ მოიგერია, ამოროზიომ კი საგოლედ დაამატა.

შესვენებამდე წუთით ადრე სტუმრებს გათანაბრების კარგი შანსი ჰქონდათ, არგენტინელმა მსაჯმა ჰორაციო ელიზონდომ მასპინძელთა კარში საეჭვო პენალტი დანიშნა — ალექსმა ალოიზიო წააქციაო. „სან პაულუს“ ფეხბურთელები კარგა ხანს უხსნიდნენ ელიზონდოს, მოგეჩვენაო, მაგრამ ამაოდ. თერთმეტი მეტრიდან საჯარიმო ფაბრისიომ შეასრულა და ბურთი ძელს გაარტყა.

მეორე ტაიმში მასპინძელთა მეკარე როჟერიო სენის საქმე სახტუნაოდ არ ჰქონია. აქვე ვთქვათ, რომ სენი ხუთი გატანილი გოლით, თანაგუნდელ ლუიზაოსთან ერთად, „სან პაულუს“ ბომბარდირი გახდა ლიბერტადორესის თასის ამ გათამაშებაში.

ფაბაუმ მეორე ტაიმის დაწყებიდან შვიდ წუთში ანგარიშში სხვაობა ორამდე გაზარდა. მასპინძელთა მცველმა კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი ცხრიანში შეჭედა. ამის შემდეგ ლუიზაომ მარსიო ამოროზოს პასით იხეირა და კიდევ ერთხელ გაახარა გადავსებული „მორუმბი“, შეცვლაზე შესულმა დიეგო ტარდელიმ კი ბოლო წუთზე მეოთხე გოლი მიართვა მეტოქეს.

მარსიო ამოროზო: „ასე არასოდეს გამხარებია. ლიბერტადორესის თასის მოგებაზე ბავშვობიდან ვოცნებობდი და ამიხდა“.

როჟერიო სენი: „ამას 11 წელიწადს ველოდი, მთელი სეზონის განმავლობაში თავდაუზოგავად ვშრომობდით და კიდეც დავვიფასდა“.

პაულო აუტორი, „სან პაულუს“ მწვრთნელი: „ჩვენ ძალიან კარგად ვითამაშეთ და მოგება დავიმსახურეთ. ნახევარფინალის შემდეგ ვირწმუნე, რომ თასს ავიღებდით“.

„სან პაულუს“ ლიბერტადორესის თასი ზედიზედ 1992 და 1993 წლებში მოუგია, ბრაზილიურმა კლუბმა კი ბოლოს ამ ტურნირში 1999 წელს („პალმეირასი“) იმარჯვა. აღსანიშნავია, რომ ერთი ქვეყნის გუნდები თასის ფინალში აქამდე არასოდეს შეხვედრიან და ეს პირველი შემთხვევა იყო.

ისიცაა სათქმელი, რომ უკვე თვრამეტი წელია, „სან პაულუს“ „მორუმბიზე“ ლიბერტადორესული მატჩი არ წაუგია. 1987-დან მოყოლებული, გუნდმა 29 შეხვედრა მოიგო და სამი ფრედ დაასრულა. ამ სეზონის გათამაშებაშიც „სან პაულუმ“ შვიდივე საშინაო თამაში მოიგო ბურთების შესაშური სხვაობით 22:3, სულ კი ფინალამდე მხოლოდ ერთხელ, „მექსიკურ „ტიგრესთან“ დამარცხდა სტუმრად.

„სან პაულუს“ მწვრთნელი პაულუ აუტორი მეორედ დაეუფლა ლიბერტადორესის თასს. მისი თაოსნობით ეს ჯილდო „კრუზეირომ“ 1997-ში მოიპოვა.

ბოლოს კი გეტყვით, რომ „მორუმბიზე“ ფინალურ მატჩს „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი დაესწრო. მილანურ კლუბს ბრაზილიის ნაკრების მცველ სისინიოს გადაბირება სურს. ამ ტრანსფერში მათ სევილიის „ბეტისი“ ეცილება.

ᲕᲐᲟᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ



AFP სან პაულუდან

მარსიო ამოროზომ „ატლეტიკო პარანენსე“ დაატეროროა

ᲢᲣᲠᲘᲜᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲔᲚᲘ ᲩᲐᲕᲘᲓᲐ

ᲕᲘᲔᲘᲠᲐᲛ ᲐᲦᲡᲐᲠᲔᲑᲐ ᲗᲥᲕᲐ

პატრიკ ვიეირა წუხელ ოფიციალურად წარუდგინეს ჟურნალისტებსა და ქომაგებს, როგორც „იუვენტუსის“ ფეხბურთელი. ტრანსფერის დეტალებიც უფრო დაწვრილებით გაირკვა და კომენტარებიც გაკეთდა



ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ, თავის მილანისდროინდელ მწვრთნელ ფაბიო კაპელოსთან თითქმის ათი წლის შემდეგ დაბრუნებულმა ფრანგმა, „ბებერ ქალბატონთან“ ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და სეზონში დაახლოებით 4 მილიონ ევროს მიიღებს. „იუვენტუსი“ „არსენალს“ 10 მილიონ ევროს ახლავე გადაუხდის, ხუთს ერთი წლის მერე და დარჩენილ ხუთსაც 2007 წლის ივლისში.

„ეს გადაწყვეტილება იმიტომ მივიღე, რომ დრო იყო, გარემო შემეცვალა. თუმც „არსენალში“ თავს ძალიან კარგად ვგრძნობდი და ყველასთან მშვენიერი ურთიერთობა მქონდა. ვიმეორებ, უბრალოდ, ახალი შეგრძნების განცდა მინდოდა და ვფიქრობ, „იუვენტუსი“ საუკეთესო ვარიანტია. მინდა, მადლობა გადავუხადო ლონდონელ გულშემატკივრებს, რომლებიც ქუჩაში მხვდებოდნენ და მეუბნებოდნენ, თუ მართლა წასვლას აპირებ, გმადლობთ ჩვენთან გატარებული ცხრა წლისთვისო. მერე საოცარი გრძნობა მეუფლებოდა. შემიძლია, ვთქვა, რომ თავაწეული წამოვედი, რადგანაც მინდორზე ყოველთვის ბოლომდე ვიხარჯებოდი. „არსენალის“ უფროსობასა და მწვრთნელსაც განსაკუთრებულად დავემშვიდობე, რაც ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო“ — განაცხადა 29 წლის ვიეირამ.

ტურინელთა თავკაცი ფაბიო კაპელო შენაძენით ძალიან კმაყოფილი ჩანს. ახლა მას ნახევარდაცვაში დიდი პრობლემა მოეხსნა და მომავალ სეზონზეც უფრო დამშვიდებული ფიქრობს.

„გასული ზაფხულის მსგავსად, სატრანსფერო ბაზარზე ზუსტად ის გავაკეთეთ, რაც გვსურდა. აუცილებლად უნდა შევაქო ანტონიო ჯირაუდო, რობერტო ბეტეგა და ლუჩანო მოჯი. მათ ჩინებულად იმუშავეს. ვიეირა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელია. იგი გუნდის ნახევარდაცვას ნამდვილად გაძლიერებს, როგორც ტექნიკური, ასევე ფიზიკური თვალსაზრისით“ — აღნიშნა კაპელომ.

აქვე „არსენალის“ მთავარ მწვრთნელ არსენ ვენგერს მოვუსმინოთ: „პატრიკი „არსენალისთვის“ დიდი ფეხბურთელი იყო, კლუბის ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო. მასთან განსაკუთრებული ურთიერთობა მქონდა, რადგანაც ლონდონში სწორედ მე ჩამოვიყვანე. ვფიქრობ, მისი წასვლა არა მხოლოდ ჩვენ, არამედ მთლიანად ინგლისურ პრემიერლიგას დაეტყობა“.

იტალიური პრესა კი უკვე ამაზე საუბრობს, რომ ფაბიო კაპელოს მომავალი სეზონისთვის გუნდის ბოლომდე დასაკომპლექტებლად მხოლოდ ანტონიო კასანოს ყიდვაღა აკლია...

იმავდროულად, როგორც ჭისალოდნელი იყო, „იუვენტუსი“ ფეხბურთელების გაყიდვას იწყებს. თითქმის გადაწყდა, რომ ენცო მარესკა „სევილიაში“ გადავა. 25 წლის ნახევარმცველს „იუვენტუსში“ ჭიმავალი არა აქვს და ტურინელები ცდილობენ, რაც შეიძლება სარფიანად გაყიდონ. საუკეთესო წინადადება ესპანურმა კლუბმა წამოაყენა. სევილიელები 2,2 მილიონ ევროვანქას იხდიან და მალე ალბათ ტრანსფერი ოფიციალურად გაფორმდება.

ᲖᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲐᲙᲐᲒᲐᲫᲔ

ᲠᲝᲛᲐᲠᲘᲝ ᲠᲝᲜᲘᲜᲘᲝᲡᲐᲕᲘᲗ ᲣᲐᲠᲖᲔᲐ ᲚᲝᲣᲠᲔᲜᲡᲝ ᲐᲥᲐᲜᲓᲐᲖᲖᲔ ᲖᲘᲡ

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲣᲠᲘ მედიის ცნობით, 39 წლის რომარიოს „ვასკუ და გამას“ მწვრთნელად ნიშნავენ, რასაც ფეხბურთელი უარყოფს.

„ვასკუ და გამას“ კაპიტანმა და ამ სეზონში ოთხი გოლის გამტანმა ფეხბურთელმა, „პალმეირასთან“ 2:5 მარცხის შემდეგ თანაგუნდელები გვარიანად შეახურა.

ამჟამინდელი მწვრთნელ დარიო ლოურენსოსა და რომარიოს შორის შავმა კატამ გაირბინა. სწორედ ამიტომ, ფეხბურთელმა „ინტერნასიონალთან“ მომდევნო შეხვედრაში თამაშზე უარი თქვა. ლოურენსო კომენტარებისაგან თავს იკავებს, ხოლო რომარიომ განაცხადა: „მე კაპიტანი ვარ და უფლება მაქვს, თანაგუნდელებს ხმამაღლა ველაპარაკო, რაც მწვრთნელს არ მოეწონა. მას ბევრ რამეში ვეწინააღმდეგები და უთანხმოებაც ამან გამოიწვია“.

„ვასკუ და გამა“ ამჟამად ბოლოდან მესამე ადგილზეა და „ფლამენგოსთან“ მომდევნო ტურის მატჩი თუ წააგო, დარიო ლოურენსოს ალბათ გაათავისუფლებენ. ამ შემთხვევაში შესაძლოა, რომარიომ მწვრთნელობას გამოჰკრას ხელი.

ᲕᲐᲟᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ანდრეი შევჩენკომ გუშინ ხელმეორე ოპერაცია გაიკეთა

შევა, უკრაინა და ყბა

პოპულარულმა იტალიურმა გაზეთმა „გაძეტა დელო სპორტმა" გამოაქვეყნა ინტერვიუ „მილანის" უკრაინელ ფორვარდთან, ანდრეი შევჩენკოსთან, რომელშიაც ის ამბობს:

„მე „მილანის" ფეხბურთელი ვარ და „ჩელსის" შესახებ არაფერი მსმენია. საერთოდაც, კარგად ვიცი, რაც მსურს. მინდა, „მილანში" ვთამაშობდე და ტიტულს ტიტულზე ვიგებდე, განსაკუთრებით იმ სიმწარის შემდეგ, სტამბოლში რომ შეგვემთხვა. დიახ, სტამბოლი შოკი იყო, მაგრამ გასულ სეზონში ბედნიერი წუთებიც მქონდა — უკრაინის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშებს, იქამდე კი ხელის ერთი გაწვდენაღა გვიკლია. ჩემი ქვეყნისთვის ეს გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე რაგინდარა ჩემპიონთა ლიგა. სწორედ ამაი გადამატანინა 25 მაისის ფიასკო".

შემდეგ, ინტერვიუ განახლებულ „მილანს" ეხება და შევჩენკოც ახალი თანაგუნდელების შესახებ ლაპარაკობს. იგი ამბობს, რომ კრისტიან ვიერისა და ალბერტო ჯილარდინოს შესაძლო დამატების წყალობით მეტოქეებს თავსატეხი დაემატებათ.

აღსანიშნავია, რომ ანდრეი შევჩენკომ გუშინ ისევ მიაკითხა საავადმყოფოს, თებერვალში გატეხილი ყბის ხელმეორედ შესალამაზებლად — ოპერაცია გაიკეთა. ხვალ იგი მილანელოს საწვრთნელ ცენტრში იქნება, ოღონდ, რამდენ ხანს გასტანს სარეაბილიტაციო პერიოდი, წინასწარ ცნობილი არ არის და ამას ექიმები ყოველდღიური დაკვირვების შედეგად იტყვიან.

პაპუნა კედია

ბოლტონის ისტორიული ტრანსფერები



ხარედ ბორგეტი

ინგლისური „ბოლტონის" თაკაცი სემ ალარდაისი მთელი მსოფლიოს მასშტაბით ფეხბურთელების ძიებას განაგრძობს. მალე გუნდის გრძელ ლეგიონერთა სიას სულ ცოტა, კიდევ ორი მოთამაშე შეემატება. პირველი და „რიბოკის" ბინადართათვის ყველაზე სასიხარულო მექსიკელი ფორვარდი ხარედ ბორგეტია, რომლის გადაბირებასაც კონფედერაციათა თასის დასრულების შემდეგ კლუბი აქტიურად ცდილობდა.

ნისლიან ალბიონზე გადასვლის დიდი სურვილი ჰქონდა თავად 31 წლის მექსიკელსაც და საბოლოოდ ყველაფერი მხარეებისთვის სასიკეთოდ გადაწყდა — „ბოლტონი" თითქმის მილიონ გირვანქას გადაიხდის და კონკაკაფის ოქროს თასის დასრულების შემდეგ ფეხბურთელთან კონტრაქტს გააფორმებს.

„შემიძლია, დავადასტურო, რომ ყველაფერი გადაწყდა. ჩვენ 900 ათას გირვანქაზე მეტს მივიღებთ, ხოლო რამდენიმე დღეში ბორგეტი ინგლისში გაემგზავრება. სხვა ქვეყნის კლუბებისგან უკეთესი წინადადებები გვქონდა, მაგრამ თავად ხარედმა ინგლისი აირჩია და ხელი არ შევუშალეთ. იგი თვლის, რომ პრემიერლიგა მსოფლიოს საუკეთესო ჩემპიონატია. ყველანი ძალიან ამაყები და გახარებულები ვართ, რადგანაც ეს ისტორიული ტრანსფერია. დაახლოებით საუკუნის წინ ინგლისელები ჩამოვიდნენ და „პაჩუკასთან" ერთად ჩვენს ქვეყანაში საფეხბურთო ცხოვრება დაიწყეს, ხოლო ახლა „პაჩუკა" პირველი მექსიკური კლუბია, რომელიც ინგლისში ფეხბურთელს ჰყიდის" — თქვა „პაჩუკას" პრეზიდენტმა ხესუს მარტინეს პატინომ.

ამასობაში, „ბოლტონი" მეკარეებითაც ძლიერდება. გუნდმა უკვე დაიმატა ვეტერანი კარის დარაჯი იან უოქერი, რომელმაც გასული სეზონის ბოლოს „ლესტერი" დატოვა. 33 წლის უოქერი ჯუსი იასკელაინენის სათადარიგო იქნება.

რამდენიმე თვეში ალარდაისი ინგლისში მექსიკელს კი არა, ომანელსაც ჩაიყვანს. „ლინის" მეკარე ალი ალ-ჰაბსი „ბოლტონს" დეკემბერში, ნორვეგიის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ შეუერთდება.

სემ ალარდაისი: „მოხარული ვარ, რომ იან უოქერის დონის გოლკიპერით გავძლიერდით. სიმართლე გითხრათ, ამ საკითხმა გასული სეზონის ბოლოს ამაღელვა, მაგრამ ახლა სამი მაღალი კლასის მეკარე გვყავს, რასაც ბევრი კლუბი ვერც ინატრებს. ძირითად შემადგენლობაში ადგილისთვისაც ჯანსაღი კონკურენცია გაიმართება".

ბიორგი კაკაბაძე

იტალიური სერიალი გრძელდება

გუშინ იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ სერია A-დან მოკვეთა „ტორინო" და „მესინა". მიზეზი: ამ კლუბებს ფინანსური პრობლემები აქვთ.

უნდა აღინიშნოს, რომ იტალიაში ეს ამბავი დიდად არავის გაკვირვებია, რადგან ბოლო დღეებში, ხმები იმის შესახებ, რომ დასახელებული ორი კლუბი სერია A-ში სათამაშოდ აუცილებელი მოთხოვნების დაკმაყოფილებას ვერაფრით ახერხებდა, საკმაოდ ინტენსიური გახლდათ. ერთი სიტყვით, გუშინ ფედერაციამ ხმამაღლა თქვა ის, რაც უნდა ეთქვა, თუმცა იტალია იტალიაა და ეს გადაწყვეტილება კიდევ არ არის უკანასკნელი. ნებისმიერ მოკვეთილ კლუბს სამი აპელაციის უფლება აქვს, რომელთაც, ალბათ, გამოიყენებენ.

„ტორინოს" პრეზიდენტი ატილიო რომერო: „ოპტიმიზმით ვერ დავიკვეხნი, თუმცა რეალისტი ნამდვილად გახლავართ. ვფიქრობ, ჩვენს ხელთ ყველა იარაღია, რათა სერია A-ში დავრჩეთ".

„მესინას" პრეზიდენტი პიეტრო ფრანცა: „ვიცოდი, რომ ფედერაციაში ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებდნენ, მაგრამ ისიც უნდა გითხრათ, რომ დიდად გვეიმედება, რომ ისინი, ვისაც ახლა უნდა მივმართოთ, დაგვეხმარებიან. ეჭვი არ გვეპარება, რომ სერია A-ში ჩვენც გავაგრძელებთ მოღვაწეობას".



ფრანკო კარარო

დღევანდელი გადაწყვეტილება თუ არ შეიცვლება, „მესინას" ადგილს „ბოლონია" დაიკავებს, ხოლო „ტორინოსას" „ტრევიზო", რომელმაც სერია B-ში მეხუთე ადგილი დაიკავა.

პაპუნა კედია

მეთოფეებს მხეცი არ დაუთმეს

არსენალმა 20 მილიონი ისროლა

ლონდონის „არსენალმა" ჟულიო ბაპტისტას სანაცვლოდ „სევილიას" 20 მილიონი ევრო შესთავაზა, მაგრამ ესპანური კლუბის პრეზიდენტმა ხოსე მარია დელ ნიდომ იუარა.



ჟულიო ბაპტისტას „სევილია" ვერ ელევა

მოგეხსენებათ, „არსენალი" უკვე კარგა ხანია, რაც ევაჭრება სევილიელებს. თავიდან „მეთოფეებმა" 12 მილიონი ევროთი სცადეს ფონს გასვლა, მაგრამ ესპანელებმა ამ თანხაზე ხელი აუკრეს.

პატრიკ ვიეირას „იუვენტუსისთვის" მიყიდვის შემდეგ, ლონდონური კლუბის ბიუჯეტი შეივსო და ხელახლა მიადგნენ „სევილიას", თუმც კვლავ არაფერი გამოუვიდათ.

რამდენიმე დღის წინ, ხოსე მარია დელ ნიდომ განაცხადა, ჟულიო ბაპტისტას წასვლა თუ უნდა, წავიდესო, გუშინ კი პრეზიდენტმა თქვა: „20 მილიონი გაცილებით მეტია, ვიდრე 12, მაგრამ ჩვენ არსად გვეჩქარება. ფეხბურთელს „სევილიასთან" კონტრაქტი აქვს და თუ „არსენალთან" ვერ შევთანხმდით, ამით არაფერი დაშავდება, ბაპტისტა კვლავ აქ ითამაშებს".

ბრაზილიელ ფორვარდს „სევილიაში" კონტრაქტით კიდევ ერთი სეზონი დარჩა და შეიძლება, მომავალ წელს „ბარსელონაში" აღმოჩნდეს. მეგოლის აგენტ ერმინიო მენდესის თქმით, კატალონიელები ფეხბურთელის თაობაზე მას რამდენჯერმე დაკავშირებიან.

ჟულიო ბაპტისტა, მეტსახელად „მხეცი", 2003 წლის ივლისში „სან პაულუდან" „სევილიაში" 3 მილიონი დოლარის სანაცვლოდ გადავიდა. ბრაზილიაში ნახევარმცველად თამაშობდა, სევილიელთა თავკაცმა კი მისგან ისეთი ფორვარდი „გამოძერწა", რომელმაც გასულ სეზონში 30 მატჩში 20 გოლი გაიტანა.

ვაჟა ხუციშვილი

ალბერტინი ბარსელონასთვის ზედმეტია

დემეტრიო ალბერტინიმ შესაძლოა, კარიერა დაასრულოს

კატალონიურ „ბარსელონას" დემეტრიო ალბერტინის დატოვება აღარ სურს, თუმც ფეხბურთელს, მსურველი კლუბი თუ არ გამოუჩნდა, შესაძლოა, მოკლევადიანი კონტრაქტი მაინც გაუფორმონ.

იტალიელი ნახევარმცველი, რომელიც აგვისტოში 34 წლის გახდება, „ბარსელონაში" გასულ იანვარს გადავიდა. ფრანკ რაიკარდის გუნდს რამდენიმე ფეხბურთელი დაუშავდა და ალბერტინიც ექვსი თვით ამიტომ გადაიყვანეს. გაზაფხულზე მან მხოლოდ ექვსი მატჩი ითამაშა, აქედან ორჯერ ძირითად შემადგენლობაში.

ახლა კი „ბარსას" სპორტულმა დირექტორმა ჩიკი ბეგირისტაინმა იტალიელს უთხრა, გუნდში შენი ადგილი აღარ არის და უკეთესი იქნება, თუ სხვა კლუბს მოძებნიო.

დემეტრიო ალბერტინიმ შესაძლოა, კარიერაც დაასრულოს, რადგან ბოლო ხანებში ტრავმებმა დატანჯა.

ვაჟა ხუციშვილი

მიკელ არტეტამ „ევერტონის“ უფროსობას თავი შეაყვარა

არტეტა ტკბილეულებს შერჩა

„ევერტონმა“ საწადელი აისრულა და მიკელ არტეტას კონტრაქტი ბოლომდე გამოისყიდა. ლივერპულელები ბასკურ „სოსიედადს“ 2,9 მილიონ ევროს გადაუხდიან. შეთანხმების სხვა პირობები ამ დროისთვის უცნობია.

შეგახსენებთ, რომ 23 წლის ნახევარმცველი „გუდისონ პარკზე“ იანვარში არნდის წესით გადაბარგდა. მას „რეალში“ წასული თომას გრავესენის შეცვლა ეკალებოდა, რაც არტეტამ ასე თუ ისე მოახერხა და „ევერტონის“ უფროსობაზეც კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

მიუხედავად ასაკისა, ესპანელი უკვე საკმაოდ გამოცდილია და ლიდერის ფუნქციებიც მრავალჯერ უტვირთავს. მან კარიერა „ბარსელონაში“ დაიწყო, საიდანაც პსჟ-ში გადაბარგდა. შემდეგ იყო „რეინჯერსი“, რომლის რიგებშიც არტეტამ საყოველთაო ყურადღება მიიქცია. „სოსიედადში“ გატარებულ ულიმლამო პერიოდს კი „ევერტონი“ მოჰყვა.

გარდა ამისა, ლივერპულელები კვლავ ცდილობენ „ვალენსიაში“ მოთამაშე ემილიანო მორეტის შეძენას, რადგანაც დევიდ მოიესს დაცვაში გარკვეული პრობლემები აქვს. თანაც გუნდის ექიმების თქმით, გარი ნეისმიტის სარეაბილიტაციო პერიოდი ოპერაციის მერე, არც ისე სწრაფად მიდის და იგი სექტემბრის შუა რიცხვებამდე ვერ ითამაშებს. სამაგიეროდ, ხანგრძლივი ტრავმა საბოლოოდ მოიშუშა „ტკბილეულების“ ჩინელმა ნახევარმცველმა ლი ტაიმ.

ვოქვათ ისიც, რომ „ევერტონის“ ხელმძღვანელობას გადაწყვეტილი აქვს, ტიმ ჩეჰილთან ახალი, გაუმჯობესებული კონტრაქტი გააფორმოს. ავსტრალიელმა გასულ სეზონში მშვენივრად იბურთავა და გუნდის უფროსობა მისი ხელფასის გაზრდას ვეგმავს. ჩეჰილი კვირაში 17 ათასი გირვანქის ნაცვლად ახლა 22 ათასს მიიღებს და „გუდისონ პარკზეც“ სავარაუდოდ, 2009 წლამდე დარჩება.

გიორგი ძაძაბაძე

ისევ ის სალვა ვარ...

სალვა ბალესტა

ესპანური „მალაგას“ მწვრთნელი ანტონიო ტაპია თავდასხმის გაძლიერებას განაგრძობს — ინგლისური „იფსვიჩიდან“ პაბლო კუნაგოს დამატების შემდეგ, ანდალუზიელებმა „ვალენსიას“ ფორვარდი სალვა ბალესტა შეიძინეს. ტრანსფერის ფინანსური მხარე ჯერჯერობით უცნობია, კონტრაქტი კი ოთხწლიანია.

შეგახსენებთ, რომ სალვას „მალაგაში“ 2003-04 წლების სეზონშიაც უთამაშია და 19 გოლითაც გამოირჩა. პრიმერადივიზიონში პირველად მან 2000 წელს მიიქცია ყურადღება, როდესაც სანტანდერის „რასინგის“ რიგებში გაიბრწყინა და ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, რის შემდეგაც მადრიდის „ატლეტიკოს“ მიაშურა.

2001 წლის ივლისში, სალვა ბალესტა 10,5 მილიონი დოლარის სანაცვლოდ „ვალენსიამ“ იყიდა, მაგრამ „ღამურების“ თავკაცები მას მაინცდამაინც არ სწყალობდნენ. ფეხბურთელი ვერც „ბოლტონს“ მოერგო, რის მერეც იყო ზემოხსენებული სეზონი „მალაგაში“ და ბოლოს ისევ „ატლეტიკო“.

ამ ხანგრძლივი „მოგზაურობის“ შემდეგ 30 წლის ფორვარდი „მალაგაში“ დაბრუნებით კმაყოფილია და გულშემატკივრებს ჰპირდება, ძველ სალვას იხილავთო.

გიორგი ძაძაბაძე

ხაბი ალონსო: ჩვენ შუაში გვინდა

ხაბი ალონსო „ლივერპულში“ თავისი პირველი სეზონის იმაზე უკეთეს დასასრულს, ვიდრე ბედმა სინამდვილეში არგუნა, ალბათ, ვერც წარმოიდგენდა — გახსენება არ სჭირდება, მაგრამ მაინც: „წითლებმა“ სტამბოლში, ჩემპიონთა თასის ფინალში „მილანს“ 0:3 შემოუტრიალეს და პენალტებში გაიმარჯვეს.

და, რა მონაწილეობა მიიღო ამაში ესპანეთის ნაკრების ჩვენს მიერ ზემოხსენებულმა წევრმა? რა და, მეორე ტაიმში პენალტი დაარტყა, ბურთი „მილანის“ მეკარე დიდამ მოიგერია, მაგრამ მოგერიებულს თავად ალონსომ მიასწრო და დაამატა.

საერთოდ, გასულ სეზონში, 24 წლის ვარსკვლავის მთავარი პრობლემა, იანვარში მიღებული ტრავმა გამოდგა, მაგრამ, როგორც კი ჯანმრთელობა და ფორმა აღიდგინა, მყისიერად ფანების ფავორიტი გახდა.

და აი ახლა, სტამბოლური ტრიუმფის 49 დღის თავზე, ხაბი ალონსომ და „ლივერპულმა“ ახალი სეზონი დაიწყეს — ჩემპიონთა ლიგის პირველი შესარჩევი ეტაპის პირველ შეხვედრაში სტივენ ჯერარდის საშინ გოლით უელსურ „ლანსანტფრეიდს“ მოუგეს

— რამდენად სასიხარულო იყო გუნდისთვის სტივენ ჯერარდის გადაწყვეტილება „ლივერპულში“ დარჩენილიყო?

— ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ჩვენ სატრანსფერო ბაზარზე გამოსულთა შორის საუკეთესო ფეხბურთელი ვიყიდეთ. ახლა დარწმუნებული გახლავართ, რომ „ლივერპულს“ ამ სეზონში, წინა სეზონთან შედარებით, გაცილებით მეტის მიღწევა შეუძლია, განსაკუთრებით პრემიერლიგაში. ჩვენი გუნდისთვის სტივენ ჯერარდის ოსტატობა და საფეხბურთო ხედვა ძალიან მნიშვნელოვანია, მითუფრო იმიტომ, რომ ჩვენ ამ სეზონში ჩემპიონთა ლიგის ტიტულის შენარჩუნება და პრემიერლიგის მოგება გვაქვს გადაწყვეტილი. თანაც, ჯერარდის ამბავი, მეტისმეტად კარგ დროს, ზედ სეზონის დაწყების წინ გადაწყდა და ამან გუნდის მორალურ მხარეზე საოცრად იმოქმედა.

— გასული სეზონის ბევრ შეხვედრაში კოჭის ტკივილის გამო არ მოგიწიათ ჯერარდის მხარდამხარ თამაშმა. როგორ ფიქრობთ, თქვენს წყვილს ახალ სეზონში აქვს პერსპექტივა?

— ცხადია, ჩემი და სტივის პარტნიორობა წლეულს უფრო დაიხვეწება. დასაწყისი გასულ სეზონში კარგი გვქონდა. დამტკიცდა, რომ ჩვენი თანამშრომლობა პერსპექტიულია, თუმცა ისიც მართალია, რომ ბევრი რამ წინ გვაქვს. არ ვიცი, ვიქნებით თუ არა ახალ სეზონშიც ცენტრალური ნახევარმცველები, მაგრამ ჩვენი სურვილი სწორედ ამ არეალში წყვილად მოქმედება გახლავთ.

— რას იტყვით „ლივერპულის“ სატრანსფერო სიახლეებზე?

— ყველა, ვინც რაფა ბენიტესმა ამ ზაფხულს იყიდა, ძალიან კარგი ფეხბურთელია. მათი ოსტატობაც მმატებს ახალი ჩემპიონატის წინ რწმენას, რომ მიზანს მივაღწევთ. ახლა ჩვენი გუნდი დაბალანსებულია და ალტერნატივაც მრავლადაა.

— და მაინც, რა იქნება ამ სეზონში „ლივერპულის“ პრიორიტეტი, ჩემპიონთა ლიგის ტიტულის ღაცვა თუ პრემიერლიგაში გამარჯვება?

— არა მგონია, რომ ჩვენ ამ სეზონში ორიდან ერთი უნდა ავირჩიოთ. ორივე შეუძლებელია ძალიან სერიოზულია და ჩვენც ორივეში გამარჯვებისთვის უნდა ვიბრძოლოთ, თუმცა „ლივერპულს“ ხელმძღვანელები ჰყავს და არჩევანი მათ უნდა გააკეთონ.

— „ლივერპულმა“ ახალი სეზონი პრემიერლიგელ მეტოქეებზე ერთი თვით ადრე დაიწყო. ხომ არ ფიქრობთ, რომ ამან მოგვიანებით შესაძლოა, უარყოფითი ეფექტი მოგცეთ?

— ცხადია, სეზონის ასე ადრე დაწყება ძალიან მძიმე იყო, მაგრამ ჩვენ პროფესიონალები ვართ და ვალდებულნი გახლავართ, ნებისმიერ ვითარებას ავუღოთ ალღო. ხოლო, რა იყო კარგი და რა ცუდი, ამას დრო გვაჩვენებს.

ჩემპიონთა ლიგის ფინალში ხაბი ალონსოს პენალტმა „მილანი“ საბოლოოდ გატეხა

უეფას თასი 2005–2006

პირველი საკვალიფიკაციო ტატაპი. პირველი მატჩები



AFP ელბასანიდან

ელბასანი — ვარდარი. ალბანელმა კლევის დალიპიმ მაკედონიელთა მეკარეს ლამაზი გოლი გაუტანა

ტორპედო (საქართველო) 0:1 ბატე (ბელარუსი)
ბანანცი (სომხეთი) 2:3 ლოკომოტივი (საქართველო)
ბაკი (აზერბაიჯანი) 1:0 ჟილინა (სლოვაკეთი)
ეკრანასი (ლიტვა) 0:2 კორკ სიტი (ირლანდია)
ტეუტა (ალბანეთი) 3:1 შიროკი ბრიაგი (ბოსნია)
ელბასანი (ალბანეთი) 1:1 ვარდარი (მაკედონია)
ალიანსი (ფინეთი) 3:0 პეტანჟი (ლუქსემბურგი)
ბასკიმი (მაკედონია) 0:0 ზეპცე (ბოსნია)
ნისტრუ (მოლდოვა) 3:1 ხაზარი (აზერბაიჯანი)
ეტცელა (ლუქსემბურგი) 0:4 კეფლავიკი (ისლანდია)
სანტა ჯულია (ანდორა) 0:5 რაპიდი (რუმინეთი)
ესბიერგი (დანია) 1:2 ფლორა (ესტონეთი)
რუნავიკი (ფარერები) 1:2 მეტალურგსი (ლატვია)
ომონია (კვიპროსი) 3:0 ჰიბერნიანსი (მალტა)
ვადუცი (ლიხტენშტაინი) 2:0 დაჩია (მოლდოვა)
ტვმკ (ესტონეთი) 1:1 მიუპა (ფინეთი)
ვესტმანაეიარი (ისლანდია) 1:1 B-36 ტორსჰავნი (ფარერები)
პორტადაუნი (ჩრდ. ირლანდია) 1:2 ვიკინგი (ნორვეგია)
ფერენცვაროში (უნგრეთი) 0:2 მტზ-რიპო (ბელარუსი)
მაინცი (გერმანია) 4:0 მიკა (სომხეთი)
ლონგფორდი (ირლანდია) 2:0 კარმარტენი (უელსი)
რილი (უელსი) 2:1 ატლანტასი (ლიტვა)
ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია) 1:0 ვინტსპილსი (ლატვია)
დომანანო (სან მარინო) 0:5 დომზალე (სლოვანი)
ბირკირკარა (მალტა) 0:2 აპოელი (კვიპროსი)

ძია ფილიპის ერთი შეცდომა

„მაინცმა“, რომელიც უეფას თასზე „ფერო პლეის“ წესით დაუშვეს, ერევნის „მიკა“ ოთხი უპასუხო გოლით გაისტუმრა. ბუნდესლიგური გუნდის გამარჯვების შემოქმედი კი ანტონიო და სილვა გახდა. მართალია, მას არ გაუტანია, მაგრამ სამი საგოლე პასი მიითვალა.

„მაინცის“ ჩეხმა ლეგიონერმა პეტრ რუმანმა ანგარიში შორიდან დარტყმით გაბსნა, მეორე კი გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების ფორვარდმა, ბენჟამინ აუერმა შეაგდო. აუერს სტუმართა მეკარე გარნიკ ოგანესიანი დაეხმარა, რადგან პირდაპირ ფეხზე „დაასვა“.

შესვენების შემდეგ ნიკოლეჩ ნოვესკიმ თავურით სხვაობა სამამდე გაზარდა, ხოლო „მიკას“ რბევა აუერმა დაასრულა.

ლუქსემბურგული „ეტცელასა“ და ისლანდიური „კეფლავიკის“ მატჩი სტუმართა ფორვარდ სვეინსონის ბენეფისად იქცა, რაკი მან პოკერი შეასრულა. პირველივე ტაიმში გატანილ გოლს სვეინსონმა მეორეში სამი მიაყოლა და ამისთვის ოცდაექვსი წუთი დასჭირდა.

სან მარინოს „დომანანო“ სლოვენიის „დომზალეს“ შესვენებამდე გაუძალიანდა და მხოლოდ ერთხელ გაუშვა, მაგრამ მატჩის მეორე ნახევარში სტუმრებმა მეტოქის კარის ბადე ამოავსეს.

მინსკის „მტზ-რიპოს“ კარგი ევროდებიუტი გამოუვიდა. ეს გუნდი ევროთასებზე აქამდე არასოდეს გასულა და პირველივე ცდაზე თვით „ფერენცვაროში“ დაჩაგრა. მინსკელებმა ტაიმების მიწურულს თითო-თითო გოლი გაიტანეს: ჯერ ჰამლეტ მხითარიანმა იყოჩაღა, მერე კი ვიტალი ტარაშჩიკამ.

მოლდოვური და აზერბაიჯანული გუნდების პირველი საევროთასო შეხვედრა კიშინიოვში შედგა. „ნისტრუს“ ლენქორანის „ხაზარი“ ესტუმრა, რომელიც თურმე, რამდენიმე დღით ადრე ჩასულა მოლდოვაში და „გასაიდუმლოებულ“ ვითარებაში ემზადებოდა. საიდუმლო მზადება კი 1:3 მარცხით დასრულდა. პანკოვიჩმა მეტოქეს მისალმება არ აცალა და მასპინძლები თამაშის დასაწყისშივე დააწინაურა. ტაიმის შუაში ფიზული მამედოვის პასით აზერბაიჯანის საუკეთესო ბომბარდირმა ზაურ რამაზანოვმა გაათანაბრა.

მეორე ნახევარში „ნისტრუმ“ პენალტი მოინაგრა, რომელიც ანდრეი მაციურამ ზუსტად შეასრულა, ხოლო მატჩის ბოლოს ალექსანდრ ბლაჟკო „ხაზარის“ მეკარესთან პირისპირ გავიდა და მესამე გაიტანა.

ლიტვის ჩემპიონატის ლიდერმა „ეკრანასმა“ ირლანდიის პირველადგილოსან „კორკ სიტისთან“ შინ წააგო. ლიტველებს იღბალმა უგანა, რადგან მეტოქის კარის ძელს ბურთი ორჯერ გაარტყეს და კიდევ რამდენიმე მომენტიც ვერ გამოიყენეს. პირველივე ტაიმში სტუმართა მეკარე მაიკლ დევაინი დაშავდა და შესაცვლელი გახდა. მის მაგივრად კარში 42 წლის ფილიპ ჰარინგტონი ჩადგა. „ძია ფილიპი“ ერთხელ შეცდა, როცა კარი უპატრონოდ მიატოვა, მაგრამ კავალიაუსკასმა საჩუქარი ვერ შეირგო. ამ დროისთვის კორკელები 1:0-ს იგებდნენ, მეორე გოლი კი შეხვედრის მიწურულს ჯორჯ ოკოლაჰანმა გაიტანა.

ტალინურ „ფლორას“ „ესბიერგთან“ სტუმრობამდე თერთმეტი გასვლითი ევრომატჩიდან ერთიც ვერ მოეგო. ათი მარცხი და ერთი ფრე — ასეთი იყო „ფლორას“ მონაგარი, მაგრამ ესტონურმა გუნდმა ნავსი დანიაში გატეხა. თომას სირიავიჩუსმა და ანდრეი სიდორენკოვმა ორწუთიან მონაკვეთში წყვილი გოლი გაუტანეს „ესბიერგს“, რომელიც უეფას თასზე „ფერო პლეის“ ცხრილიდან მოხვდა. მასპინძელთა ფრედრიკ ბერგლუნდმა თამაშის ბოლოს გაქვითვა მოახერხა.

ლიხტენშტაინურმა „ვადუცმა“ მოლდოვური „დაჩია“ დაჩაგრა. გოლები ფრანგმა სტივ გოურიმ და ბრაზილიელმა გასპარმა მიითვალეს. „ვადუცმა“ შარშან მოახერხა საწყისი საკვალიფიკაციო ეტაპის გავლა და ალბათ ამჯერადაც შეძლებს.

ისტორიაში პირველად მოხდა, რომ ფარერების „B-36 ტორსჰავნმა“ ევროთასებზე არ წააგო. კუნძულელებმა ისლანდიის „ვესტმანაიერთან“ სტუმრად ფრეს გამოჰკრეს ხელი, თუმც მეშვიდე წუთზე იოენსენის გოლით იგებდნენ. მასპინძლებმა მეორე ტაიმის პირველივე წუთზე სიგურდსონის წყალობით გაქვითეს.

აზერბაიჯანულმა „ბაკიმ“ სლოვაკური „ჟილინა“ სულთანოვის გვიანი გოლით გატეხა და ერბურთიან სხვაობას დასჯერდა.

ვალდას ტრაკისის გაძევების მიუხედავად, ლიტვის „ატლანტისმა“ უელსში, „რილთან“ გატანა შეძლო. ბრიტანელები მეთორმეტე წუთზე ჰორანმა დააწინაურა, შესვენების შემდეგ კი ჰანტმა იხეირა. ამის შემდეგ ლიტველები კაცკლულნი დარჩნენ, თუმც ჟვინგილასმა „რილს“ ხასიათი წაუხდინა, რადგან ერთი გაუქვითა.

ალბანურ „ტეუტას“, უეფას თასზე აქამდე ზედიზედ ექვსჯერ წაეგო, მაგრამ ბოსნიური „შიროკი ბრიაგი“ გამოიჭირა და მარცხიანი სერია შეწყვიტა. ორი საპირველტაიმო გოლით დაწინაურებულმა „ტეუტამ“ ბოსნიელ მეტოქეს, მესამე ბაბამუსტას ფეხით გაუტანა, თუმც სტუმარმა დომაგოია აბრამოვიჩმა სხვაობა ორამდე შეამცირა.

ლატვიურ „მეტალურგსს“ ფარერებზე, „რუნავიკის“ ძლევა არ გასჭირვებია, მითუმეტეს, პირველი გოლი მასპინძელმა პეტერსენმა საკუთარ კარში გაიტანა, რასაც კარლსონსმა და გრებისმა მოგვიანებით თითო-თითო მიაყოლეს.

ლუქსემბურგის „პეტანჟის“ ევროდებიუტი ფინურმა „ალიანსმა“ ჩაუშწარა. ფინელებმა მეტოქეს სამი გოლი „გამოუწერეს“, ანდორაში ფინელებმა მეტოქეს სამი გოლი „გამოუწერეს“.

ანდორაში ექსკურსიაზე ჩასულმა რუმინულმა „რაპიდმა“ კი „სანტა ჯულიას“ მოედანზე გაისეირნა და ხუთი გოლი გაუტანა.

მალტელები კვიპროსულ გუნდებს გადაეყარნენ. „აპოელმა“ სტუმრად „ბირკირკარა“ დაამარცხა, ხოლო „ომონიამ“ შინ — „ჰიბერნიანსი“.



AFP ესბიერგიდან

ესბიერგი — ფლორა. დანიელი ნიკოლაი ჰოგის თავურმა ესტონელებს ვერაფერი დაიქლო

ვაჟა ხუციშვილი

...და ან ცაზე ვარსკვლავები

ჩირო ფერარა

რატომ გახდა ჩირო ფეხბურთელი?

ის 1967 წლის 11 თებერვალს, ისეთ ოჯახში დაიბადა, სპორტთან არანაირი კავშირი რომ არ ჰქონდა. მამა ორთოპედი გახლდათ, დედა კიდევ დიასახლისი, რომელიც ჩიროს გარდა, მის ორ ძმას, ფაბრიციოსა და ვინჩენცოს დასდევდა. ბარემ აქვე განვმარტოთ, რომ ორთოპედია მედიცინის ის დარგია, ადამიანის ძვლოვანი სისტემის ტრავმებისა და უწესრიგობების მკურნალობასა და კორექციას რომ მისდევს, ხოლო ძმებიდან პირველი კომერსანტი გახდა, მეორე კი კომპანია „ომნიტელში" ინჟინრად მუშაობს

ჩირო ფერარა ფეხბურთიდან ვალმოხდილი წავიდა

ახლა კი, დავუბრუნდეთ თავად ჩიროს, რომლის ბიოგრაფიაც საკმაოდ ტიპიურად დაიწყო — სულ არ ფიქრობდა ფეხბურთელობას. ის მშვენივრად ცურავდა და კალათბურთსაც ჩინებულად თამაშობდა, მიუხედავად იმისა, რომ სიმაღლე 180 სანტიმეტრი და წონა 75 კილოგრამი, გოლიათური ნამდვილად არ ჰქონდა. მაშ რატომ გახდა ფეხბურთელი? იმიტომ, რომ ბიძაშვილმა, დეიდაშვილმა თუ მამიდაშვილმა ნიკოლამ ნეაპოლის ახლომახლო, გუნდ „სალვატორ როზა დელ ვომერო-ში" შეათრია. ჰოდა, ნიჭიერ ახალგაზრდას სკაუტებმა ფეხბურთზე ხეირიანად მისვლა არ აცალეს, რომ მისცივდნენ და თვალის დახამხამება ვერ მოასწრო, რომ უკვე თავისი აგენტი, ჯუზეპე ბონეტო ჰყავდა.

სწორედ ჯუზეპე ბენიჭოს მეცადინეობითა და დახმარებით მოხვდა ჩირო ფერარა „ნაპოლიში", სადაც მარადონასა და კარეკასთან ერთად მოუწია თამაშმა.

მაშინდელ ნეაპოლელთა ცხოვრებაში ყველაზე დიადი მომენტი 1989 წლის უეფას თასის ფინალი გახლდათ — „ნაპოლი" „შტუტგარტს" შეხვდა. მოგეხსენებათ, იმხანად, უეფას თასის ბედი ორ შეხვედრაში წყდებოდა. „ნაპოლისა" და „შტუტგარტის" პირველი შეხვედრა ნეაპოლში, „სან პაოლოზე" გაიმართა და ჩიროს გუნდის სასარგებლოდ 2:1 დამთავრდა — ანგარიში გერმანელებმა კი გახსნეს, მაგრამ შემდეგ, ჯერ მარადონამ, ხოლო 89-ე წუთზე კარეკამ სტუმრებს მაინც არ დაანებეს გამარჯვება. ხოლო სპასუხოში, იტალიელებს მაურიციო გაუდინიოსა და იურგენ კლინსმანის შტურმის გაძლება მოუხდათ... და კონტრშეტევაზე სამი გოლი გაიტანეს.

მარადონას გაჩერება იმ დღეს ყოვლად შეუძლებელი გახლდათ, მაგრამ ფერარასთვის ეს ყველაფერი მხოლოდ დიეგოს ბრწყინვალებისა და თასის მოგების გამო არ იყო განსაკუთრებული. იმ დღეს ჩირომ „ნაპოლის" სამი გოლიდან ერთი თავად შეაგდო.

რაც შეეხება მატჩის საბოლოო შედეგს, იგი 3:3 გამოვიდა. სხვათაშორის, „ნაპოლი" მეორე ტაიმის შუაში 3:1-ს იგებდა, მაგრამ გერმანელების ამბავი ხომ იცით...

ასე და ამგვარად, ჩირო ფერარა დიდ დიეგოსთან ერთად უეფას თასის მფლობელი გახდა, მაგრამ ტრიუმფის გემო მან მაინც „იუვენტუსში" გადასვლის შემდეგ გაიგო. „ბებერი ქალბატონის" წყალობით, იგი დღევანდელი სერია **A**-ს ყველაზე ტიტულიანი ფეხბურთელია.

რაკი ზემოთ ევროპული შეჯიბრება გავიხსენეთ, თემა არ გავწყვიტოთ და კოქვაი, რომ ჩირო ფერარას კარიერაში იყო კიდევ ერთი ევროგამარჯვება — 1996 წელს „იუვენტუსმ" „აიაქსს" მოუგო, ოღონდ პენალტებით. მატჩის ძირითადი და დამატებითი დრო, პირველი ტაიმის ანგარიშით, 1:1 დასრულდა. (გოლები ფაბრიციო რავანელიმ და იარი ლიტმანენმა გაიტანეს), თერთმეტმეტრიანებში კი ბურთთან პირველი ჩირო მივიდა და ბურთი ედვინ ვან დერ სარის კარში შეაგდო.

კიდევ რა... ალბათ ის, რომ იმავ წელიწადს, ფერარას კოლექციას საკონტინენტთაშორისო თასიც შეემატა — ალესანდრო დელ პიეროს ერთადერთი გოლით „იუვენტუსმა" არგენტინული „რივერ პლეიტი" დაამარცხა.

რაც შეეხება ყველაზე უსიამოვნო პერიოდს — მოდით, „იუვეს" სამ დამარცხებას ჩემპიონთა ლიგის 1997, 1998 და 2003 წლების ფინალებში ნუ გავუხსენებთ — ალბათ 1997 და 1998 წლები იყო, როდესაც ფერარას ტრავმებმა არ მისცა სრულყოფილად თამაშის საშუალება.

და საინტერესო ამბავი გინდათ? რაც ჩირო „იუვეშია", ტურინელები მხოლოდ ორჯერ, 1999 და 2004 წლებში გავიხენ მეორე ადგილზე დაბლა. ოღონდ, 1999-ში რომელზე იყვნენ ნუ ვკითხავთ, სირცხვილია. მეექვსეზე.

რაც შეეხება ფერარას სანაკრებო კარიერას, აქ პირველი, რაც თვალში ეცემა, ის გახლავთ, რომ მან ოთხმოცდაათიან წლებში ყველა დიდი სანაკრები ტურნირი გაიარა. ერთადერთი შეჯიბრება, რომელიც „სკვადრა აზურამ" მასთან ერთად მოიგო, 1991 წლის „სკანდინავიის თასი" გახლდათ, რომლის ფინალშიც საბჭოთა კავშირის ნაკრებთან 11 ითამაშა და შემდეგ პენალტებით იმარჯვა 4:3.

საერთოდ, ჩირო ფერარა ნაკრებში 49-ჯერ ამოწვეს. 1990 წლის მსოფლიოზე იგი მხოლოდ ერთხელ შეეჯიბრება, რომელიც „სკვადრა აზურამ" მასთან ერთად მოიგო. 1991 წლის „სკანდინავიის თასი" გახლდათ, რომლის ფინალშიც საბჭოთა კავშირის ნაკრებთან 11 ითამაშა და შემდეგ პენალტებით იმარჯვა 4:3.

საერთოდ, ჩირო ფერარა ნაკრებში 49-ჯერ ამოწვეს. 1990 წლის მსოფლიოზე იგი მხოლოდ ერთხელ შეეჯიბრება, რომელიც „სკვადრა აზურამ" მასთან ერთად მოიგო. 1991 წლის „სკანდინავიის თასი" გახლდათ, რომლის ფინალშიც საბჭოთა კავშირის ნაკრებთან 11 ითამაშა და შემდეგ პენალტებით იმარჯვა 4:3.

საერთოდ, ჩირო ფერარა ნაკრებში 49-ჯერ ამოწვეს. 1990 წლის მსოფლიოზე იგი მხოლოდ ერთხელ შეეჯიბრება, რომელიც „სკვადრა აზურამ" მასთან ერთად მოიგო. 1991 წლის „სკანდინავიის თასი" გახლდათ, რომლის ფინალშიც საბჭოთა კავშირის ნაკრებთან 11 ითამაშა და შემდეგ პენალტებით იმარჯვა 4:3.

პაპუნა კვიდია

ჩირო ფერარა შვილებთან ერთად



ჩირო ფერარა და დიეგო მარადონა დღემდე მეგობრები არიან

სარბიელი: კრიკი

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით აღგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		შვეიცარია. სუპერლიგა						
		16 ივლისი						
21:30	12	გრასჰოპერი-ივერდონი	1.45	3.80	5.50	1.04	1.14	2.24
21:30	13	სტ.გალენი-ციურიხი	2.30	3.10	2.70	1.32	1.24	1.44
21:30	14	თუნი-აარაუ	1.60	3.50	4.80	1.09	1.20	2.02
21:30	15	ბაზელი-შაფჰაუზენი	1.25	4.50	9.00	1.00	1.09	3.00
		შვეიცარია. ჩელენჯლიგა						
		16 ივლისი						
21:30	19	ლოკარნო-შო დე ფონი	1.90	3.20	3.50	1.19	1.23	1.67
21:30	20	კიასო-ბელინცონა	1.85	3.20	3.60	1.17	1.22	1.69
21:30	22	სიონი-ლუცერნი	1.75	3.30	4.00	1.14	1.21	1.80
21:30	23	კრინსი-ვოლენი	1.90	3.30	3.50	1.20	1.23	1.69
21:30	24	ლიზანა-ვინტერთური	1.85	3.30	3.70	1.18	1.23	1.74
		17 ივლისი						
18:00	17	ვაფუცი-მეირინი	1.45	3.80	5.50	1.04	1.14	2.24
16:30	21	ბოლმი-ვილი	2.10	3.10	3.10	1.25	1.25	1.54
		რუსეთი						
		16 ივლისი						
14:00	25	მოსკოვი-სპარტაკი	3.40	3.10	2.00	1.62	1.25	1.21
		17 ივლისი						
15:00	26	ტერეკი-ცსკა	7.50	4.00	1.35	2.60	1.14	1.00
15:00	27	დინამო-ზენიტი	2.20	2.90	3.10	1.25	1.28	1.49
15:00	28	როსტოვი-ტორპედო	2.65	2.90	2.55	1.38	1.29	1.35
15:00	29	ალანია-კრილია	2.00	2.90	3.70	1.18	1.29	1.62
15:00	30	ამკარი-შინიკი	2.40	2.90	2.90	1.31	1.31	1.45
15:00	31	რუბინი-საგურნი	1.75	3.10	4.20	1.11	1.23	1.78
15:00	32	ტომსკი-ლოკომოტივი	4.70	3.60	1.55	2.03	1.16	1.08
		სლოვაკეთი						
		16 ივლისი						
20:00	33	ბ.ბისტრიცა-ტრენჩინი	1.55	3.50	5.00	1.07	1.18	2.05
20:00	36	რუჟომბეროკი-ინტერი	1.85	3.20	3.60	1.17	1.22	1.69
		17 ივლისი						
22:00	35	ჟილინა-ნიტრა	1.45	3.60	6.40	1.03	1.18	2.30
12:30	37	პეტრუალკა-ტრნავა	1.50	3.50	5.50	1.04	1.17	2.13
		ნორვეგია. I დივიზიონი						
		16 ივლისი						
18:00	38	პორს გრენლანდი-ალტა	1.35	4.50	6.00	1.03	1.10	2.57
		17 ივლისი						
20:00	39	ბრინი-სტაბეკი	2.35	3.70	2.40	1.43	1.18	1.45
20:00	40	მანდალი-ჰიოდი	1.65	4.10	3.90	1.17	1.15	1.99
20:00	41	ლოვ ჰამი-მოსი	3.80	3.80	1.70	1.89	1.17	1.17
20:00	43	კონსვინგერი-სოგნდალი	2.20	3.60	2.70	1.36	1.21	1.54
20:00	44	ჰიონეფოსი-ფოლო	1.55	4.20	4.70	1.13	1.16	2.21
20:00	45	სანდეფიორდ-ტრომსიდალენ	1.65	3.60	4.30	1.13	1.19	1.95
		შვედეთი. ალსვენსკა						
		17 ივლისი						
19:00	47	ჰელსინგბორგი-იორგრიტე	1.65	3.50	4.30	1.12	1.19	1.92
19:00	48	ჰამარბი-ლანდსკრონა	1.70	3.40	4.20	1.13	1.21	1.87
19:00	49	მალმიო-ჰალმსტადი	1.70	3.40	4.20	1.13	1.21	1.87
		18 ივლისი						
21:00	50	ასირისკა-ჰეკენი	3.10	3.20	2.15	1.57	1.26	1.28
21:00	51	იურგორდენი-სუნდსვალი	1.40	3.80	6.50	1.02	1.15	2.39
21:00	52	კალმარი-ელფსბორგი	2.30	3.10	2.75	1.32	1.25	1.45
		შვედეთი. სუპერეტა						
		16 ივლისი						
18:00	55	ვაის-ბრომაპოიკარნა	1.65	3.50	4.30	1.12	1.19	1.92
18:00	56	იოსტერსი-დეგერფორსი	1.60	3.40	4.60	1.08	1.18	1.95
18:00	57	ატვიდაბერგი-ლიუნგსკილე	1.95	3.30	3.40	1.22	1.23	1.67
18:00	58	აიკ-ტრელებორგი	1.40	4.00	6.00	1.03	1.13	2.40
		17 ივლისი						
17:00	59	ფრიოლუნდა-ბოდენსი	1.90	3.30	3.50	1.20	1.23	1.69
19:00	60	იორებრო-მიალბი	1.45	3.90	5.80	1.05	1.15	2.33
19:00	61	ფალუნბერგი-ნორჩიპინგი	2.60	3.20	2.30	1.43	1.22	1.33
19:00	62	ვესტეროსი-ვესბი	2.20	3.30	2.75	1.32	1.22	1.50
		ფინეთი						
		16 ივლისი						
17:00	65	იარო-ჰაკა	3.60	3.30	1.85	1.72	1.22	1.18
17:00	66	კტპ-ლაჰტი	2.10	3.20	2.90	1.26	1.21	1.52
		17 ივლისი						
20:00	67	კუოპიო-მიუპა	3.80	3.30	1.80	1.76	1.22	1.16
20:00	69	ტპ 47-როვანიემი	2.00	3.10	3.20	1.21	1.23	1.57
20:00	70	ალიანსი-ტურკუ	1.85	3.20	3.60	1.17	1.22	1.69
		ისლანდია						
		17 ივლისი						
23:45	74	ფილკირი-თროტური	1.40	3.80	6.50	1.02	1.15	2.39
23:15	78	ფრამი-რეიკიავიკი	2.55	3.10	2.40	1.39	1.23	1.35
		18 ივლისი						
23:15	77	კეფლავიკი-ვესტმანაეიარი	1.60	3.50	4.20	1.09	1.15	1.90
		ირლანდია						
		16 ივლისი						
22:45	83	ჰერპსი-ბოჰემიანი	3.00	3.10	2.10	1.52	1.23	1.25
		17 ივლისი						
18:00	80	დროგედა-კორკი	3.10	3.00	2.10	1.52	1.25	1.23
		იაპონია						
		17 ივლისი						
13:00	93	ნიიგატა-ნაგოია	2.40	3.10	2.55	1.35	1.23	1.39
13:30	94	კაშიმა-ოიტა	1.45	3.60	5.80	1.03	1.15	2.22
14:00	95	ტოკიო-იოკოჰამა	2.90	3.00	2.25	1.47	1.26	1.28
14:00	96	ვამბა-შიმიცუ	1.55	3.60	4.80	1.08	1.17	2.05
14:00	97	კავასაკი-ჩერეძო	2.20	3.10	2.80	1.28	1.23	1.47
14:00	98	კობე-კაშივა	2.25	3.10	2.80	1.30	1.24	1.47
14:00	99	ივატა-ვერდი	1.60	3.50	4.50	1.09	1.18	1.96
		18 ივლისი						
14:00	100	იჩიჰარა-ომია	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
14:00	101	ურავა-ჰიროსიმა	1.95	3.10	3.30	1.19	1.22	1.59
		აშშ						
		16 ივლისი						
23:45	103	ჩიკაგო-კოლამბუსი	1.60	3.40	4.80	1.08	1.20	1.99
23:45	104	ნიუ იორკი-კოლორადო	1.75	3.30	3.90	1.14	1.20	1.78
23:45	105	ნიუ ინგლენდი-დალასი	2.30	3.00	2.80	1.30	1.26	1.44
23:45	106	კანზასი-სოლტ ლეიკი	1.45	3.70	5.80	1.04	1.15	2.25
23:45	107	ლოს ანჯელესი-ჩივასი	1.45	3.60	6.20	1.03	1.17	2.27

შესაძლო ცვლილებები აღგილზე დაზუსტეთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ბრაზილია						
		16 ივლისი						
23:00	108	გოიასი-ბრაზილენსე	1.55	3.60	4.80	1.08	1.17	2.05
23:00	109	პონტე პრეტა-ფიგეირენსე	1.45	3.70	6.00	1.04	1.16	2.28
23:45	110	პარანა-კორინთიანსი	2.90	3.20	2.10	1.52	1.21	1.26
23:45	111	პაისანდუ-კრუზეირო	2.15	3.20	2.85	1.28	1.22	1.50
23:45	112	პალმეირასი-ფორტალესა	1.50	3.60	5.30	1.05	1.16	2.14
		17 ივლისი						
23:00	113	სანტოსი-სან პაულუ	1.75	3.40	3.80	1.15	1.19	1.79
23:00	114	ფლამენგო-ვასკუ და გამა	2.05	3.20	2.95	1.24	1.20	1.53
23:00	115	კურიტიბა-ბოტაფოგო	1.60	3.50	4.60	1.09	1.18	1.98
23:45	116	ინტერნასიონალი-ჟუვენტუდი	1.70	3.40	4.00	1.13	1.19	1.83
23:00	117	ატლეტიკო მნ-ატლეტიკო პრ	1.85	3.20	3.70	1.17	1.23	1.71
23:45	118	ფლუმინენსე-სან კაეტანო	1.70.	3.40	4.00	1.13	1.19	1.83
		ამხანაგური მატჩები						
		16 ივლისი						
18:00	177	ფულემი-სელტიკი	2.35	3.30	2.45	1.37	1.19	1.40
		17 ივლისი						
23:00	178	ბენფიკა-ჩელსი	3.10	3.20	2.05	1.57	1.23	1.24
		ისლანდიის თასი						
		16 ივლისი						
20:00	227	ჰაფნარფიორდური-აკრანესი	1.55	3.80	4.80	1.10	1.17	2.12
		ოქროს თასი (აშშ)						
		16 ივლისი						
21:00	228	ჰონდურასი-კოსტა რიკა	3.50	3.20	1.95	1.67	1.25	1.21
23:45	229	აშშ-იამაიკა	1.30	3.90	9.50	1.00	1.14	2.76
		17 ივლისი						
23:00	230	მექსიკა-კოლუმბია	1.75	3.30	4.00	1.14	1.21	1.80
23:45	231	პანამა-სამხრეთ აფრიკა	4.00	3.40	1.70	1.83	1.19	1.13

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინტერტოტოს თასი						
		16 ივლისი						
18:30	213	დორტმუნდი-სიგმა	1.35	4.00	7.00	1.06	1.13	2.54
20:00	214	ლეირია-ჰამბურგი	3.30	3.20	1.95	1.62	1.22	1.21
21:00	215	ვარტეკსი-ლანსი	3.10	3.20	2.05	1.57	1.23	1.24
21:00	216	ეგალეო-ჟალგირისი	1.55	3.50	4.90	1.07	1.17	2.04
21:30	217	იანგ ბოიზი-მარსელი	2.85	3.00	2.25	1.46	1.25	1.28
22:30	218	როდა-ლიბერეცი	1.85	3.20	3.55	1.17	1.21	1.68
23:00	219	დეპორტივო-სლავენი	1.20	5.00	10.00	1.00	1.07	3.33
		17 ივლისი						
15:00	220	გიოტებორგი-ვოლფსბურგი	2.80	3.10	2.25	1.47	1.24	1.30
18:00	221	კლუჟი-სტ.ეტიენი	2.90	3.10	2.15	1.49	1.23	1.26
18:00	222	დუბნიცა-ნიუკასლი	3.90	3.30	1.75	1.78	1.20	1.14
20:00	223	გენტი-ვალენსია	3.70	3.30	1.80	1.74	1.21	1.16
20:00	224	ლაციო-ტამპერე	1.25	4.50	9.00	1.00	1.09	3.00
		საერთაშორისო ტურნირი კორეა						
		16 ივლისი						
14:00	225	ბოკა ხუნიორსი-ტოტენჰემი	1.95	3.20	3.35	1.21	1.23	1.63
14:00	226	სოსიედადი-სანდაუნსი	1.40	3.80	6.50	1.02	1.15	2.39
		კალათბურთი კაცები 20 წლამდე ეჩ 2005 რუსეთი						
		16 ივლისი						
12:00	300	ხორვატია-სლოვენია	1.40	12.00	2.90	1.25	1.00	2.33
12:00	301	საბერძნეთი-ლატვია	1.40	12.00	2.80	1.25	1.00	2.27
14:00	302	ესპანეთი-თურქეთი	1.10	12.00	5.50	1.00	1.00	3.77
14:00	303	საფრანგეთი-იტალია	1.70	12.00	1.95	1.48	1.00	1.67
		კრივი						
		16 ივლისი						
22:00	600	სილტონი მ-უილიამსი დ		1.60		20.00		2.20
22:00	601	ლარიოსი ო-მაკალოხი უ		1.20		25.00		4.00

CROCO BOOKMAKERS
კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი №70	
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13	დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	მესამე მასივი, ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთა	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
	ისანი -კახეთის გზატკეცილი	ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
	წმინდა ნინოს ქუჩა № 13	
	ჭავჭავაძის № 67	ცენტრალური ავტოსადგური
გორი	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	„ახალი ავტოსადგური“ ალაზნის გამზირი	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა № 1	
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №50	
ოზურგეთი	გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2	
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30	
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27	
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145	
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6	
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	

A დივიზიონის ზღვარზე

ქართველებმა ბელგიელებს ტაბუ დაადეს

გუშინ ქართველებმა მეოთხედფინალში ბელგიელები დაამარცხეს და ნანატრ A დივიზიონს ერთი ნაბიჯით მიუახლოვდნენ. ნუგზარ კანდელაკის გუნდი ფინალის ტოლფას ნახევარფინალში გავიდა, სადაც B ჯგუფის გამარჯვებულ უნგრეთთან მოუწევს ბრძოლა. აქვე შეგახსენებთ, რომ A დივიზიონის საგზურს ბულგარული ტურნირის ორი საუკეთესო გუნდი ირგუნებს — ანუ ისინი, ვინც ფინალში გავლენ.

ბელგიელებთან ჯახი კი მართლაც საინტერესო გამოდგა. ბენილუქსელებს ისეთი გუნდი ჰყავთ, თავ-ბოლოს ვერ გაუგებ. ისინი ტაქტიკითა და კომბინაციების ხლართვით თავს არ იკლავენ და სწრაფი შეტევით ნებისმიერ მეტოქეს აბრუებენ. მთავარია, ბელგიელთა მკვირცხლ თამაშს როგორ აუღებ ალღოს, თორემ ისინი რომ ფარქვეშ ვერ ყოჩაღობენ, ქართველებმაც ცხადყვეს.

ბელგიელთაგან განსაკუთრებით სახიფათო ტაბუ-ებმე გახლდათ. ამ სწრაფმა ზანგმა ჭაბუკმა ქართველები თავიდანვე დააწიოკა. ჩვენები ჯერ 0:6 აგებდნენ, მერე 3:12, რაშიც ტაბუს ლომის წილი იყო ჩაქსოვილი.

ნუგზარ კანდელაკის მთავარი ამოცანაც მეტოქის დაბლებისგან თავდაცვა იყო. ასეთ გუნდთან, ცხადია, ადვილია ფარქვეშიდან თამაში, თუმც პერიმეტრის მოთამაშეებზეც არანაკლები ყურადღებაა საჭირო.

როცა დასაწყისში ბელგიელმა დაბლებმა გაინავარდეს, მერე ქართველთა მაღლების ჯერი დადგა. გიორგი ცინცაძემ და დავით საყვარელიძემ მცირე ხნით ლაგამი ამოსდეს ბელგიელთა უკანახაზელებს და ბენილუქსელთა ფარზე კავკასიელთა ბატონობა დამყარდა.

დავით იმნაძისა და გიორგი მდივნის დუეტი მთელი თამაშის განმავლობაში ყოჩაღობდა, მაგრამ პირველი მეოთხედის ბოლოს მათ ფარქვეშ მართლაც უბადლოდ ითამაშეს და ქართველებმა პირველად გაათანაბრეს ანგარიში — 15:15.

მერე ბელგიელთა მეფარე სტეფან მორისმაც გამოიღვიძა და პერიმეტრზე აწეულმა თავისიანებს დამაწინაურებელი ქულები მოუხვეჭა. პირველი მეოთხედი დასავლეთევროპელთა საიმედო უპირატესობით უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ ჩვენმა კაპიტანმა დავით საყვარელიძემ ბოლო წამზე სამქულიანი ჩააჭედა და 23:21 — ბელგიელთა სასარგებლოდ.

მეორე მეოთხედიდან ქართველთა უკანა ხაზიც აბობოქრდა. გიორგი ცინცაძემ იყოჩაღა განსაკუთრებით და დრიბლინგობანა კი არ დაიწყო, შორიდან შეუტია. „ბუმ“ წუთნახევარში სამი სამქულიანი უთავაზა ბელგიელებს და მეორე მეოთხედის შუაწელში ანგარიში გაათანაბრა (34:34). ასე თანაბრად მივიდა თამაში დიდ შესვენებამდე, თუმც ბოლოს კვლავ ტაბუმ იყოჩა და ქართველებმა 4-ქულიანი ჩამორჩენით დაასრულეს ტაიმი.

ეს იყო და ბელგიელთა ნავარდიც დასრულდა. მესამე მეოთხედი და ბენილუქსელთა რბევა ერთდროულად დაიწყო. მეორე ტაიმის საწყის 5 წუთსა და 20 წამში ქართველებმა მეტოქეს ბურთი არ ჩააგდებინეს, ხოლო თავად 13 მოიხვეჭეს და 60:51 დაწინაურდნენ.

ამ ხუთწუთეულში თანაბრად-კარგად ირჯებოდა ჩვენების წინა და უკანა ხაზი. ცინცაძემ და ფარღალავამ ორჯერ ზუსტი სამქულიანი მიითვალეს, იმნაძე-მდივანის ტანდემმაც თქვა სათქმელი, ცენრში კი დავით საყვარელიძე ალაგებდა თამაშს.

კანდელაკის სამწყსომ მოპოვებული უპირატესობა მესამე მეოთხედის ბოლომდე შეინარჩუნა და სირენის თანხლებით კვლავ საყვარელიძემ მიითვალა სამიანი — 75:61.

გადამწყვეტი მეოთხედი ტაბუს სამქულიანით კი დაიწყო, მაგრამ ქართველებმაც ყარეს იმდენი, რომ მეტოქე სათოფეზე არ გაეკარებინათ. ერთი შეშინება კი შეგვაშინეს ბელგიელებმა, როცა ხუთწუთეული 9:2 მოგვიგეს და 70:77 მოგვიახლოვდნენ. აქ კვლავ დავით საყვარელიძემ იყოჩაღა და უმნიშვნელოვანესი ქულებით ქართველებს სირენამდე 2 წუთით ადრე გამარჯვება გაუნაღდა.

ბელგიელებმა ტაქტიკური ჯარიმების აღებას მიჰყვეს ხელი, მაგრამ ამით ქართველებს ვერაფერი დააკლეს და A დივიზიონისკენ მიმავალი გზიდან ჩამოეცალნენ.

ირაკლი პერტაია

ევროთხჯერფინალი
საქართველო 89:78 ბელგია
21:23 26:28 28:10 14:17

	წთ	ქ	მ	პ	ჩ	დ
გამყრელიძე	30	-	-	1	2	-
ცინცაძე	28	22	4	1	2	4
საყვარელიძე	32	21	5	-	1	1
მდივანი	36	15	18	-	1	1
იმნაძე	30	21	11	1	-	2
ფარღალავა	20	6	2	-	2	2
ვაშაკიძე	10	2	-	1	-	-
ჩხატარაშვილი	14	2	1	-	-	-

მესამე და სამართალი

კანდელაკმა მეტოქე გაშიფრა

ნუგზარ კანდელაკს რომ ტაქტიკური მანევრები უყვარს და ხშირად ამ გზით წარმატებასაც აღწევს, ჯერ კიდევ „ბასკოში“ მუშაობისას გამოჩნდა და გუშინ ერთხელაც დადასტურდა. მან ანტიბელგიური ტაქტიკა შეიმუშავა და წარმატებით დააგვირგვინა. ნამატჩევს კანდელაკს ბულგარეთში შეეხმიანეთ, როცა ის გასახდელში თავის შეგირდებს გარჯას უქებდა...

— ბელგია ძალიან სწრაფი გუნდია და თუ ფეხი ვერ აუწყვე, წაგება გარდაუვალია — გვითხრა ბატონმა ნუგზარმა — ?ათ ცენტრიც კი მოძრავი და სწრაფი ჰყავთ, რომელმაც ამ მატჩის დასაწყისში ბევრი პრობლემა შეგვიქმნა. პერიმერტზე ადიოდა და რამდენიმე სამიანიც ჩაგვიგდო.

— სისწრაფეს სისწრაფე დაუპირისპირეთ?

— არა. ჩვენი მთავარი მიზანი ბელგიელთა სწრაფი შეტევების შეჩერება იყო და ამას მჭიდრო დაცვით ვაპირებდით, შეტევაში კი ძირითადად მაღლებს ვეყრდნობოდით — დავით იმნაძეს და გიორგი მდივანს.

— ტანმაღალი სერგო ათუაშვილი რატომ არ ათამაშეთ?

— სერგო 220 სანტიმეტრზე მაღალია და შესაბამისად ისე ვერ მოძრაობს, როგორც სხვა, მასზე დაბალი მეფარეები. ხომ გითხარით, ბელგიელების მთავარი იარაღი დაბლები გახლდათ და ათუაშვილის სიმაღლე საჭირო არ იყო მათი ფარის დასაპყრობად.

— პირველ მეოთხედში ბელგიელებმა მძლავრად ითამაშეს და მისი დასრულების შემდეგ რას ფიქრობდით?

— თავიდან ტაბუმ, ბელგიელთა უსწრაფესმა გამთამაშებელმა აგვიკლო. ის ტურნირის ბომბარდირია, მატჩში საშუალოდ 21 ქულას აგდებდა. ვიცოდი, რომ თუ მას შევაჩერებდით, პრობლემები აღარ შეგვექმნებოდა.

— როგორ მოახერხეთ მისი გაუვნებლება?

— გიორგი ცინცაძემ მნიშვნელოვანი წილი დაიდო მის განეიტრალებაში, თუმც გიომ იმით უფრო კარგი საქმე გაგვიკეთა, რომ ორ წუთში ზედიზედ სამი სამქულიანი ჩააგდო. მან თამაშში გარდატეხა შეიტანა.

— რა უთხარით ბიჭებს დიდ შესვენებაზე, როცა 4 ქულით აგებდით?

— სტატისტიკურად ბელგიელები ცუდად თამაშობდნენ მესამე მეოთხედს. მათ ეს მონაკვეთი ყველა გუნდთან წააგეს და ბიჭებს ვუთხარი, რა ძალაც გაქვთ, ახლა გამოაჩინეთ-მეთქი. შედეგმაც არ დააყოვნა. მესამე ათწუთეულში ბელგიელები 28:10 დავამარცხეთ და თამაშის ბედიც ფაქტობრივად გადავწყვიტეთ.

— ვის გამოარჩევდით ცინცაძესთან ერთად?

— ვინც მოედანზე იყო, ყველა ქების ღირსია. გამოსარჩევია დავით საყვარელიძე, რომელმაც კაპიტნის მისია ბრწყინვალედ შეასრულა და გადამწყვეტ წუთებში არაერთი ქულა შეგვმატა.

— წინ უნგრეთია...

— უნგრეთ-ფინეთის მეოთხედფინალურ მატჩს ვუყურე და სასიამოვნოდ გაოცებული დავრჩი. ფინეთმა დიდი წინააღმდეგობა გაუწია ფავორიტს და ბოლოს, ჩემი აზრით, არასწორი დაცვითი ტაქტიკის გამო დამარცხდა. უნგრეთი ძალიან სერიოზული გუნდია და ნახევარფინალიც საინტერესო უნდა გამოვიდეს. ამ მატჩში წყდება, გადავალთ თუ არა A დივიზიონში და, ცხადია, მოგებისთვის არაფერს დავიშურებთ.

ირაკლი პერტაია

„პარტიზანის“ წასვლით ეპოქა იცვლება



ზაზა ფაჩულია და ვლადე დივაცი

დიდმა სერბმა კალათბურთელმა, 36 წლის ვლადე დივაცმა თავისი პროფესიური კარიერის დასრულების თაობაზე განაცხადა. თავისი გადაწყვეტილება ნბა-ს ვარსკვლავმა, რომელიც ამ ლიგაში დიდხანს ითვლებოდა საუკეთესო ევროპელ კალათბურთელად, თავისი გადაწყვეტილება ზურგის ქრონიკული ტრავმით ახსნა.

„ზურგის ტკივილი დიდ პრობლემებს მიქმნის, — ამბობს დივაცი — ახლა ტკივილს არ ვგრძნობ, მაგრამ 4-5 მატჩის მერე იგი თავს მახსენებს. ამიტომ იმის შანსი, რომ ახალი სეზონის დაწყებამდე სრულიად გამოვჯანმრთელდები, 50/50-ზეა.“

ამიტომაც დივაცმა წასვლა არჩია. ეს გადაწყვეტილება მსოფლიოს კალათბურთში მთელი ეპოქის დასასრულს ნიშნავსო, ამბობენ სპეციალისტები.

1989 წელს ეს ახალგაზრდა იუგოსლავიელი კალათბურთელი „ლოს ანჯელეს ლეიკერსმა“ დრაფტის პირველ წრეში 26-ე ნომრად აირჩია. მაშინ ვლადე დივაცის სახელი ევროპაში უკვე კარგად იყო ცნობილი იუგოსლავიის ნაკრებში გამოსვლებიდან, მაგრამ იმ დროს ძველი სამყაროდან კალათბურთელის დრაფტზე მოხვედრა ძალზე უჩვეულო მოვლენა გახლდათ.

დივაცი უბრალოდ კი არ მიიწვიეს ნბა-ში, არამედ „ლეიკერსის“ ვარსკლავკრებულთა გუნდში აიყვანეს, როგორც დიდი ქარიმ აბდულ-ჯაბარის მემკვიდრე.

1989 წელს „ლეიკერსში“ მოხვედრით დივაცი მსოფლიოს უძლიერესი ლიგის მეორე ევროპელი კალათბურთელი გახდა. პირველი კი გახლდათ იმ დროს ჯერ კიდევ მისი თანამემამულე (იუგოსლავიის დაშლამდე) დრაჟენ პეტროვიჩი, რომელიც „ნიუ ჯერსი ნეთსში“ გამოდიოდა.

უკვე მეორე სეზონში 216-სანტიმეტრიანი დივაცი „ლეიკერსთან“ ერთად ნბა-ს ფინალში მოხვდა. ახალგაზრდა სერბი განსაკუთრებით კარგი სანახავი იყო გუნდის ლიდერ მეჯიქ ჯონსონთან ტანდემში.

1993 წლის მერე, როცა პეტროვიჩი ავტოკატასტროფაში დაიღუპა, დივაცი დიდხანს ლამის ერთადერთ ევროპელად ითვლებოდა, რომელსაც ნბა-ში წარმატებით თამაში შეეძლო. ამასთან, დივაცი არ ივიწყებდა თავის მშობლიურ გუნდს და სულ ბოლო დრომდე ყველა ინტერვიუში ირწმუნებოდა, რომ სამუდამოდ დარჩებოდა „პარტიზნად“. დივაცმა თავისი ბრწყინვალე კარიერა სწორედ ბელგრადის „პარტიზანში“ დაიწყო.

1996 წელს დივაცი „შარლოტ ჰორნეთში“ გადაცვალეს, მერე კი დაბრუნდა კალიფორნიაში, ოღონდ უკვე „საკრამენტო კინგზში“. ბოლოს, 2004 წლის ზაფხულში იქ გადავიდა, სადაც დაიწყო, ანუ „ლეიკერსში.“

ახლა დივაცმა „ლეიკერსში“ უკვე შაკილ ონელი შეცვალა, რომელიც „მაიამიში“ გადავიდა, მაგრამ ეს დაბრუნება ერთ სეზონს გაგრძელდა.

ნბა-ში თავისი 16-წლიანი კარიერის განმავლობაში ვლადე დივაცმა 13 000 ქულაზე მეტი მოაგროვა. მისი საშუალო შედეგიანობა 11,8 ქულას შეადგენდა. ამასთან დივაცი თითოეულ მატჩში საშუალოდ 8,2 მოხსნას ახერხებდა.

მაგრამ დივაცი მხოლოდ ასეთი ბრწყინვალე თამაშის გამო როდი იყო პოპულარული ატლანტიკის ორთავ მხარეს. ეს კალათბურთელი თავის სახელს აქტიურად რეკლამირებდა საქველმოქმედო მიზნებისთვის. სწორედ დივაცი გახდა თავის ყოფილ პარტნიორ პრედრაგ სტოიაკოვიჩთან („საკრამენტო“) ერთად იმ პროგრამის სულისჩამდგმელი, რომელსაც ეწოდება „კალათბურთი საზღვრებს გარეშე“ და რომლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე კონფლიქტისაგან დაშავებული თუ დაზარალებული ბავშვების დახმარება იყო.

დივაცი დიდი სიმპათიებით სარგებლობს ჟურნალისტთა შორის. მისგან ყოველთვის შეიძლება „კვალიფიციური კომენტარების მიღება და არა მხოლოდ კალათბურთში. ვლადე დივაცის ნახვა 1999 წელს ხშირად შეიძლებოდა ამერიკის ტელევიზიით გადაცემულ ტრანსლაციებში, როცა ამერიკა მიელი ძალით ბომბავდა იუგოსლავიას. მიუხედავად იმისა, რომ დივაცი არ იყო იუგოსლავიის პრეზიდენტ სლობოდან მილოშევიჩის მომხრე, იგი მაინც აქტიურად აპროტესტებდა მშობლიური ქვეყნის დაბომბვას. დივაცი ექსპრეზიდენტზე ამბობდა — იმისთვის, რომ განსაკუთრებით მილოშევიჩის პოლიტიკა, საკმარისია გეოგრაფიულ რუკას დაეხედოთო.

ვლადე დივაცი ჯერჯერობით არ ამბობს, თუ რა საქმეს მოჰკიდებს ხელს სპორტული კარიერის დამთავრების მერე. იმავდროულად მას აქვს ყველა მონაცემი, რომ გახდეს ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე.

90 წლების ბოლოს ცდილობდნენ დივაცი წამოეყენებინათ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრად, მაგრამ მაშინ მილოშევიჩის მთავრობამ მათდამი არალოიალურად განწყობილ სპორტსმენს გზა ჩაუხერგა.

კაცმა რომ თქვას, მაშინ დივაცი არც ისე იკლავდა თავს სპორტული ფუნქციონერის კარიერისთვის. იგი მაშინ მთლიანად კალათბურთით ცხოვრობდა, ახლა კი მას ბევრი დრო ექნება, რომ თავი გამოიჩინოს სხვა რომელიმე სფეროში.

ᲡᲘᲓᲜᲔᲣᲠ ᲑᲐᲚᲐᲮᲖᲔ ᲩᲐᲛᲞᲐᲚᲘ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲐ

გილერმო კორიას ალბერტო მანსინი აკავებს

ლეიტონ ჰიუიტმა მეტოქეს თამაშიც მოუგო და ნიშნიც

ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ. 15 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ 1:0 ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲐ

ლეიტონ ჰიუიტი — გილერმო კორია 7:6 (7:5) 6:1 1:6 6:2; უეინ ართურსი — დავიდ ნალბანდიანი 3:6 6:7 (8:10) 7:5 მატჩი კორტის დაცვარვის გამო შეწყდა

ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲣᲠ-ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲣᲚᲘ ბალახობის პირველმა დღემ ბარაქიან ჩოგნობასთან ერთად დიდი აყალ-მაყალის თანხლებითაც ჩაიარა. ლეიტონ ჰიუიტმა და გილერმო კორიამ მილეთს შუშპარა თამაშით რომ აამეს, ნამატჩევს ერთმანეთს მიდგნენ და სიტყვიერადაც წაიკეჭნავეს.

კორიამ, ვინაც კისკას ოზბიჭს თითქმის სამი საათი ერკინებოდა და, როგორც მოსალოდნელი იყო, კორტი მაინც ძლეულმა დატოვა, პრესკონფერენციაზე ემოციები ვერ მოთოკა და მაგარი ანტიჰიუიტური სპიჩი დაარტყა.

„ის შეიძლება მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშე იყოს და ყველა ტურნირზე იმარჯვოს, მაგრამ მისთვის არავის მიუცია იმის უფლება, კორტზე ისე მოიქცეს, როგორც დღეს იქცეოდა ანუ აგინოს მეტოქესაც, მეტოქის მწვრთნელსაც და საერთოდ ყველას. იმის გამეორებაც კი არ მინდა, რაც მისგან დღეს მოვისმინე“ — თქვა მან.

ჰიუიტმა, რომელიც კორტზე არაკაცური გარჯისა და მეტოქეთა შეცდომებისას ქოქოლის დაყრისათვის ადრეც გაუკრიტიკებიათ, კორიას ბრალდება, რასაკვირველია, უარყო და — პირუკუ — იქითაც შეუტია.

„კორტზე მხოლოდ „COME ON“-ს ყვირივარ ხოლმე, მაგრამ არა მგონია, ეს იმაზე უარესი იყოს, ვიდრე მსაჯის მიერ შენთვის არასასურველი გადაწყვეტილების მიღებისას მისკენ ფურთხება. კორია კი დღეს სწორედ ასეთ რამეს კადრულობდა.“

„მას არც საფარი მოეწონა. პირველი სეტის ბოლოს მხარიც გამკრა და, საერთოდ, მთელი მატჩის განმავლობაში წუწუნებდა. და მერე ამბობს, რომ კიდევ მე შეურაცხვყე? მთელი შეხვედრის განმავლობაში მისთვის სიტყვაც არ მითქვამს.“

„ისიც მაგარია, რომ მათი კაპიტანი ალბერტო მანსინი მთელი წინა კვირა კაცურობასა და ეგეთ რამეებზე ბაზრობდა და ამ დროს მატჩის მსვლელობისას ჩემს მოწოდებაზე ენა არ გაუჩერებია, მსაჯს ჩივილით ტვინი წაულო... ეგ თუ კაცურობაა, ძმაო, და აღარ ყოფილა საშველი.“

ახლა ისევ კორიას მოვუსმინოთ:

„რაფაელ ნადალი კორტზე დახტის კიდეც და, ვინ იცის, რას აღარ აკეთებს, მაგრამ შენ შეცდომას არასოდეს ზეიმობს ხოლმე. ლეიტონს კი ერთი სული აქვს, შენი შეცდომის დროს ქოქოლა დაგაყაროს. ამ დროს ძალიან ძნელია, სიმშვიდე შეინარჩუნო და აუელვებლად ჩოგნობა განაგრძო. არა, ღმერთმანი, მირჩევნია ერთი ტურნირიც არ მქონდეს მოგებული, ოღონდ ეგეთი ტიპი არ ვიყო.“

„აქვე ორი სიტყვა საფარზეც უნდა ვთქვა. იმის გამო, რომ კორტის ერთი მხარე ჩამპალი იყო, მატჩი ნახევარი საათის დაგვიანებით დაიწყო. ასეთი რამე არგენტინაში რომ მომხდარიყო, ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაცია მაგარ პრობლემებს შეგვიქმნიდა... თუმცა ჩემი მარცხის მიზეზი ეს არ ყოფილა და ეს შეხლა მთლიანადაც რომ წავაგოთ, ამას მაინც არავის და არაფერს არ გადავაბრალებთ.“

დაბოლოს, ისევ ჰიუიტი:

„იმის მიუხედავად, რომ აცხადებს, მარცხს არაფერს დავაბრალებთო, თვითონ სწორედ ამის გაკეთებას ცდილობს. ჩემთან ეგეთები არავის გასვლია, იშვიათად ვაგებ, როცა ეგრე მექცევიან ხოლმე. და ნურავის ჰგონია, თითქოს დამვიწყებოდეს, როგორ მომექცნენ მისი თვისტომები — დავიდ ნალბანდიანი და ხუან იგნასიო ჩელა ავსტრალიის ლია პირველობაზე. პირველმა შემაფურთხა, მეორემ კი ამასავით გვერდი გამკრა, როცა მხარეებს ვცვლიდით. და რა მოიგეს? ვერც ვერაფერი! ჰოდა, ამ ჯერზეც იგივე იქნება.“

ისე კი — ეს ჰიუიტისა და კორიას მეორე დაპირისპირება გახლდათ და ოზბიჭმა მეორედვე იმარჯვა, რითიც, სხვათა შორის, თავის დეისმოგებათა რიცხვი 27-მდე აიყვანა.

რაც შეეხება დღის მეორე შეხვედრას, მის დამთავრებას ხელი შეოღამებამ და კორტის ზომაზე მეტად დაცვარვამ შეუშალა. დაცვარული კორტი მეტისმეტად სლიპინა შეიქნა, რის გამოც ბურთიც საშინლად სხლტებოდა და, რაც უფრო მთავარია, მეჩოგნეთა ხამლებიც.

ეს შეხვედრა დღეს უნდა მომთავრდეს, ხოლო ნაამატჩევს ერთმანეთს ჰიუიტ-ართურსისა და ნალბანდიან-პუერტას წყვილები დასცხებენ.

ᲒᲐᲡᲙᲔᲡ ᲓᲔᲕᲘᲡᲜᲐᲗᲚᲝᲑᲐᲛ ᲙᲘ ᲮᲝᲨᲘᲐᲜᲐᲓ ᲩᲐᲘᲐᲠᲐ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ 1:1 ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ

იგორ ანდრეევი — რიშარ გასკე 4:6 3:6 6:7 (1:7); ნიკოლაი ანდრეევი — პოლ-ანრი მათიო 7:5 6:2 7:5

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ მოსალოდნელი იყო, მატჩები რეიტინგისა და კლასის ამბავში უფრო მაღლა მდგომმა მეჩოგნეებმა მოიგეს — ფრანგთაგან ზეპური მარაქის მე-17-ადგილოსანმა რიშარ გასკემ იმარჯვა, რუსთაგან კი — სულაც ზეათეულელმა ნიკოლაი დავიდენკომ.

19 წლის გასკესთვის ეს პირველი დეისობაა და, უნდა ვალიაროთ, რომ ნათლობაზე მან ჩინებული გარჯა გასწია. ერთი ეგ იყო, მესამე სეტის დასაწყისში მარჯვენა მაჯა დაიშავა და სატაიბრეიკოდ და საბულრაოდ საქმე სწორედ ამის გამო გაუხდა.

თუმცა გადამწყვეტ მომენტში მან კვლავ მტკიცედ მობღუჯა ტრაკების გამო მცირე ხნით მობოშებული სადავეები და აიდოსტი 7:1 მოიგო. ეგ მით უფრო ეადვილა, რომ იგორ ანდრეევმა გარდატეხისთვის საჭირო ილაჯი ვერ მოიძია და მაშინ, როცა უკიდურესი მობილიზება იყო საჭირო, ზედიზედ რამდენიმე ბითური შეცდომა დაუშვა.

ამ ხუთშაბათს გაოცდაორწლისეულმა ანდრეევმა — მღელვარების ბრალი იყო ეს თუ სხვა რამისა — [illegible] საერთოდაც იმაზე დაბალ დონეზე. „აღარა, რომელზეც რომ მისი ხილვა გეჩვენა. სხვა თუ არაფერი — და ეს თქვენც გეხსომებათ — მათ ერთადერთ აქამომდეელ შეხვედრაში, რაც წლეულს ქეთბოზლიბურ ბალახზე შედგა, მან ვასკეს საკმაოდ დამაჯერებლად აჯობა.

მოკლედ და კონკრეტულად, ამ ორსაათიანი და 17-წუთიანი დაპირისპირების შემდეგ მოსკოვის ოლიმპიური სტადიონის თიხნარზე ერთმანეთთან საპაექროდ დავიდენკო და პოლ-ანრი მათიო გავიდნენ. ეს ის მათიოა, ვინაც საფრანგეთ-რუსეთის 2002 წლის დეისფინალის ბოლო, გადამწყვეტი და თითქმის მოგებული (ის სეტებით 2:0 იგებდა) მატჩი დათმო მიხაილ იუჟნისთან. ის რომ დავიდენკოს მომგები არ უნდა ყოფილიყო, თითქოს ეჭვს არ იწვევდა, თუმცა უმარტივესობისას რუსთა ყოჩობანატვირთ ამ 24 წლის კოჯინდარა ბიჭს ბოლო დროს მარჯვენა მაჯის ტრავმა აწუხებს და ფრანგებსაც ალბათ ეს ეიმედებოდათ.

მაგრამ სტუმართა ამ იმედების გამართლება ეგრეც არ ეწერა. მაჯის ტკივილოსნობა დავიდენკოს ერიოჭელაც არ დასტყობია და, მართალია, მესამე სეტში ოდნავ მოიღალა და მეტოქეს 5:2-დან ამოქაჩვის საშუალება მისცა, მაგრამ ჯერ ერთი, ვერც მეტოქემ ივარგა და მეორეც — ნიგანი უკვე აღარც მას აკანკალებია.

მთელი ამ ორსაათიანი და 32-წუთიანი განდაგანისას 22 წლის პოლ-ანრი მათიო რაღაცის ძიძგნე მეჩოგნეს მხოლოდ სწორედ მაჯას დაემსგავსა, როცა დავიდენკო ვერაფრით ახერხებდა გადამწყვეტი გეიმის მოგებას. თორემ ისე რუსის „კლასობრივი“ უპირატესობა ძალზედ აშკარა იყო.

რუსულ-ფრანგული დაპირისპირება დღეს ანდრეევ-იუჟნისა და ლიდრა-კლემანის შეხლით უნდა გაგრძელდეს.

ᲡᲚᲝᲕᲐᲙᲔᲗᲘ 1:1 ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ

დომინიკ ჰრბატი — რაემონ სლოიტერი 6:1 5:7 6:4 6:3; კაროლ ბეკი — პეტერ ვესელი 7:6, 5:7, 7:6, 4:6, 4:6

ᲮᲝᲠᲕᲐᲢᲘᲐ 1:1 ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘ

მარი ანჩიჩი — ანდრეი პაველი 6:1, 4:6, 6:4, 3:6, 4:6; ივან ლიუბიჩიჩი — ვიკტორ ჰანესკუ 6:3, 6:2, 7:6

ᲐᲤᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲒᲣᲨᲘᲜ, ᲓᲦᲔᲡ, ᲮᲕᲐᲚ

15 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

ᲒᲐᲜᲐ 1:1 ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

გუნტერ დარკეი — ირაკლი ლაბაძე 2:6, 2:6, 1:6

ჰენრი აჯეი-დარკო — ლადო ჩიხლაძე 7:6 (7), 6:2, 6:2

16 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

დარკეი/დანკო — ლაბაძე/ჩიხლაძე

17 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

დარკო — ლაბაძე

დარკეი — ჩიხლაძე

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ვაჟ ჩოგბურთელთა ნაკრები აფრიკაშია და დეისის თასის მეორე ევროაფრიკულ ჯგუფში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის. გადამწყვეტი მატჩი ჩვენებს მასპინძელ განასთან აქვთ. კორტზე პირველად გუშინ გავიდნენ ერთეულთა პირველი შეხვედრების ჩასატარებლად და გუშინვე გაირკვა, რომ საერთო გამარჯვებული მესამე დღეს, ანუ ხვალ ეცნობილინდება.

განის დედაქალაქ აკრას „ოჰანე ჯან სპორტს სტადიუმის“ მაგარსაფარიან კორტებზე ყველაფერი კარგად დაიწყო. გელა ელერდაშვილის გუნდის და საერთოდ ქართული ჩოგბურთის ლიდერმა ირაკლი ლაბაძემ 29 წლის გუნტერ დარკეის სამ სეტში იოლად მოუგო — 6:2, 6:2, 6:1 და საქართველო დააწინაურა.

მოლოდინისამებრ, მეორე ნომრად ელერდაშვილმა ქართული რეიტინგით მეორე, მსოფლიო რეიტინგსის 615-ე ნომერი ლადო ჩიხლაძე დააყენა. ლადოს გუშინდელი მეტოქე განელთა ლიდერი, მსოფლიოს 426-ე ჩოგანი ჰენრი აჯეი-დარკო იყო და ეს დაპირისპირებაც სამსეტიანი გამოდგა, ამჯერად აფრიკელის სასარგებლოდ. ქართველმა რიგიანი წინააღმდეგობა მხოლოდ პირველ სეტში გასწია, როცა საქმე ტაიბრეიკამდე მივიდა, იქ კი დარკომ 9:7 იმარჯვა. მეორე-მესამე სეტებში ჩიხლაძემ მხოლოდ ორ-ორი გეიმის აღება მოახერხა.

სამდღიანი შეჯიბრის განაცხადი ნაკრებთა კაპიტნებმა წინასწარ უკვე დააყენეს. საინტერესოა, რომ განას რიგებში არ ჩანს მათი მეორე ნომერი, მსოფლიო რეიტინგსის 719-ე ჩოგანი სალიფუ მუჰამედი და თუ რამე არ შეიცვალა, ჩვენებურთა წინააღმდეგ მხოლოდ ზემოთ ნახსენები ორი აფრიკელი გაირჯება. ელერდაშვილმაც ლაბაძე-ჩიხლაძეზე გააკეთა არჩევანი. თუმც, როგორც გითხარით, ეს განაცხადი წინასწარია და შეიძლება, კაპიტნებმა შემადგენლობა შეცვალონ.

დღეს აფრიკის პირველ, ჩვენი დროით კი ოთხ საათზე „ოჰენე ჯან სპორტს სტადიუმზე“ წყვილები გავლენ, ხოლო ხვალ დილიდან ერთეულთა გადამწყვეტი შეხვედრები დაიწყება.

ᲝᲗᲐᲠ ᲛᲐᲚᲚᲐᲫᲔᲚᲘᲫᲔ



ირაკლი ლაბაძე

მუშაობ დოლუნგაშვილის ფოტო

ტურ დე ფრანსი 2005. 2-24 ივლისი

AFP მონაწილეებიან

ავსტრალიელმა რობი მაკივენმა (მარცხნივ) ფინიშზე თანამემამულე სტიუარდ ოგრეიდის აჯობა

გაალეთ ფარეხი!

„ფასა ბორტოლოს“ იტალიელ პაპელას ალესანდრო პეტაკის არეოფუნში სპრინტერთა შორის გაფოფინებულმა ავსტრალიელმა რობი მაკივენმა მიმდინარე ტურზე უკვე მესამე საფინიშო სპურტი მოიგო, მაგრამ მე-13 ეტაპის მთავარი მოვლენა მისი გამარჯვება არ ყოფილა. ყველა საცოდავ ესპანელ ალეხანდრო ვალვერდეზე ლაპარაკობს, რომლისთვისაც „ტურ დე ფრანსი“ სწორედ ამ ნაგსაზ, მე-13 ეტაპზე დასრულდა. 25 წლის პერსპექტიულმა მობილმა საწყის კილომეტრებშივე გაიმიზეზა მარცხენა მუხლის ტრავმა და მხოლოდ 80 კილომეტრის გავლა შეძლო, დანარჩენი 80 კილომეტრი კი თავისი გუნდის „ალეს ბალეარესის“ ავტომობილში გააცარა. თან არც ცდილობდა ცნობისმოყვარე ფოტორეპორტიორთა ობიექტივებისგან ცრემლების დამალვას.

„ყველაფერი დამთავრდა — ვალვერდეზე არანაკლებ გულდაწყვეტილი ჩანს მისი გუნდის მენეჯერი ეუსებიო უნზუი — ჩვენ არ შეგვიძლია, მას რბოლის გაგრძელების ნება მივცეთ და ამით საფრთხეში ჩავაგდოთ მისი მომავალი. პარიზი და ფინიში რომ ახლოს ყოფილიყო, იქნებ კიდეც გაგვეგრძელებინა, მაგრამ ჯერ კიდევ მრავალი ეტაპი და უძნელესი მთებია გადასალახი.“

არადა, 25 წლის ვალვერდე მეხუთე გახლდათ საერთო ჩათვლაში და ლიდერ ლენს არმსტრონგს მხოლოდ სამიოდ წუთით ჩამოუვარდებოდა. მისი პოზიციიდან არცთუ შორს ჩანდა თუ ჩემპიონობა არა, საპრიზო სამეულში მოხვედრა მაინც. ვალვერდემ წლეულს მოიგო ტურის მე-10 უძნელესი ეტაპი, რომელიც ალპებში პირველი გახლდათ.

საერთო ჩათვლიდან ესპანელის ამოვარდნის შემდეგ მის უკან მდგომებმა თითო ადგილით აინაცვლეს, მათ შორის აქამდე მეცხრე საფეხურზე გამაგრებულმა იან ულრიხმაც, რომელმაც 1997 წელს „ტურ დე ფრანსის“ მოგების შემდეგ იმდენჯერ მოახერხა არმსტრონგთან წაგება, რომ მის ადგილზე ბევრს შერცხვებოდა და ველოსიპედს ფარეხში შეაგორებდა, მაგრამ ულრიხი მაინც განაგრძობს რბოლას და ისევ იოვლება არმსტრონგის მთავარ და უხეირო კონკურენტად.

სხვამხრივ კი ამ ვაკეეტაპს საერთო ჩათვლაში არაფერი შეუცვლია. ულრიხმა რბოლა 27-ემ დაასრულა, არმსტრონგი 33-ე გახლდათ, რასმუსენი 57-ე, მორო 62-ე, ბასო კი 72-ე.

მომავალი ჩემპიონი ამათ შორის უნდა ვეძებოთ, თუკი არმსტრონგის გვერდით სხვათა დაყენებას გავბედავთ, ამ მცირედ დაბორცვილ ეტაპზე კი არცერთ მათგანს თავი არ გამოუდვია. პელოტონმა მირამადან მონპელიემდე მშვიდად იგორა, ბოლო ასეულ მეტრებზე კი, როგორც მოგახსენეთ, ავსტრალიელმა რობი მაკივენმა იჩაუქა.

კოტე ყორხია

მე-13 ეტაპი. 15 ივლისი. მირამა — მონპელიე. 173,5 კმ

1 რობი მაკივენი (ავსტრალია, დავიტამონ-ლოტო)	3 სთ, 43 წთ, 14 წმ
2 სტიუარდ ოგრეიდი (ავსტრალია, კოფიდისი)	
3 ფრედ როდრიგესი (აშშ, დავიტამონ-ლოტო)	ორივე იგივე დრო

საერთო ჩათვლა

1 ლენს არმსტრონგი (აშშ, დისქოვერი)	53 სთ, 13 წთ, 50 წმ
2 მიქაელ რასმუსენი (დანია, რაბობანკი)	+38 წმ
3 კრისტოფ მორო (საფრანგეთი, კრედიტ აგრიკოლი)	+2 წთ, 34 წმ
4 ივან ბასო (იტალია, სმს)	+2 წთ, 40 წმ
5 საბრიაგო ბოტერო (კოლუმბია, ფონაკი)	-3 წთ, 48 წმ
8 იან ულრიხი (გერმანია, ტი-მობაილი)	+4 წთ, 2 წმ



AFP მონაწილეებიან

ქართველები მკვლელების, უხერხულების, ფავორიტების, ლიტველებისა და მასპინძლების გარემოცვაში

დღეს და ხვალ მოსკოვში რომ ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი ტარდება შვიდკაცა რაგბიში, ჩვენმა მკითხველმა იცის. ბათუმური შვიდკაცას შემდეგ რუსეთში გასამგზავრებელი მოთამაშეების სავარაუდო სიაც ცნობილია, ახლა კი შეკრებაგავლილი და უკვე დაკომპლექტებული გუნდის საბოლოო ვარიანტს გაგაცნობთ: გიორგი კაჭარავა, თემურ სოხაძე, დავით ჟამუტაშვილი, ვახტანგ ახვლედიანი, ზვიად კობერიძე, გიორგი შკინინი, თედო ზიბზიბაძე, ბესიკ ხამაშურიძე, რატი ურუშაძე, მერაბ კვირიკაშვილი.

გუნდის მენეჯერი ვასილ აბაშიძეა, მთავარი მწვრთნელი კი ბათუმური პირველობის მომგები და საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი მალხაზ ჭეიშვილი.

ტურნირზე სპორტსმენთა გარდა ჩვენი მხრიდან მსაჯი, უჩა ნარიმანიძეც იქნება წარგზავნილი.

აქვე ჯგუფებსაც შეგახსენებთ. A ჯგუფში პორტუგალია, უკრაინა, ესპანეთი, იტალია, გერმანია და ხორვატია არიან, ჩვენ კი B ჯგუფში საფრანგეთთან, რუსეთთან, მოლდოვასთან, რუმინეთთან და ლიტვასთან მოგვიწევს ჭიდილი.

საფრანგეთი ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტია, რუსეთი მასპინძელი, რუმინეთი ჩვენთვის უხერხული და ტრადიციული მეტოქე, მოლდოველები კი აჭარულ შვიდკაცობაზე კერკეტ გუნდად მოგვეჩვენა, სწორედ ისეთად, საფეხბურთო წრეებში რომ „გოლიათების მკვლელებს“ უწოდებენ.

დაგვეთანხმებით, არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში ვართ, მაგრამ ეჭვი არაა, ჩვენებურები ყველაფერს გააკეთებენ ქართველი გულშემატკივრის გასახარებლად და ვინ იცის, ეგებ 17 ივლისს ბორჯღალოსანთა ძალისხმევით მოსკოვში ქართული ხუთჯვრიანი დროშა აფრიალდეს.

ლადო ფულუკიძე

კოკაის კვინტეტი გაუტრიოვდა

ნაგოიას ბაშოს მეექვსე ტურმა ისე ჩაიარა, სატურნირო ცხრილის სათავეში არაფერი შეცვლილა. ხუთი დღის შედეგებით ასპროცენტიანი მაჩვენებლის მქონე ორივე სეკიტორმა გამარჯვება იზეიმა, მეორე ადგილზე მყოფი ხუთეული კი სამეულად იქცა.

ჩვენდა გასახარად, ლეევან ცაგურია ორ უიღბლო მეორადგილოსანს შორის არ მოხვდა. იგი გუშინ მავან ამინისიკის დაუპირისპირდა და იოლად გაუსწორდა. კოკაის გარდა ლიდერებს უკან ადგილი სეკივაკე ხაკუხომ და დასავლეთის მეორე მაეგაშირა ვაკანოსატომ შეინარჩუნეს.

ტურნირზე ყველაზე მოულოდნელი იაპონელთა ერთ-ერთი უსაყვარლესი სეკიტორის, იმპერატორის თასის ხუთგზის მომგებ ოძეკი კაიოს დამარცხება იყო. ამ 175-კილოგრამიანმა დეკკაცმა 142-კილოგრამიან ბულგარელ კოოტოსიუსთან ვერაფერი გააწყო.

ლიდერთა დუეტიდან გაცილებით დამაჯერებლად, რაღა თქმა უნდა, იოკოძუნა ასასიორუმ იმარჯვა. 24 წლის „ცისფერმა დრაკონმა“ მაკუტის ერთ-ერთი ვეტერანი მკვიდრი, კიოკუსუძანი დაჩაგრა. 32 წლის მონღოლი მარცხს ჯერ კიდევ ბრძოლამდე შეეგუებოდა. ალალადაც თქვა, იოკოძუნას ძლევაზე არც ვფიქრობთ. ეს წყვილი მანამდე 12-ჯერ დაპირისპირებოდა ერთმანეთს და ათჯერ ასასიორუს ემარჯვა.

ივაკიამა გუშინ არენიდან დარბაზში გადაფრინდა, თუმც მაინც მოგებული დარჩა. წამის მეათედით ადრე იატაკს მისგან გაბითურებული „წითელი დრაკონი“, ასასიორუს ძმაკაცი ასასეკიორუ დაენარცხა, ხოლო ივაკიამა მას ზემოდან დაეცა.

დღეს მეშვიდე ტურია. კოკაი ძუმონძის დაეჭიდება და ვიმედოვნებთ, ჩვეულადაც გაუსწორდება. აქამდე ხომ მასთან ერთხელაც არ დამარცხებულა.

ოთარ მაღლაკელიძე

ტრაგედია მთაში

რუსეთის ორი მთამსვლელი ქალი ტაჯიკეთში ფანის მთებში დაიღუპა. ესენი არიან ვიქტორია გულია და აგატა ზორინა. ისინი ერთად მოწყდნენ ალაუდინის მწვერვალიდან და 500 მეტრი იფრინეს. ორივე მთამსვლელი ადგილზევე დაიღუპა.

პრეზიდენტს კარატე ვერ გამოადგა

ბაღდადის გარეუბანში გაიტაცეს ერაყის კარატის ფედერაციის პრეზიდენტი. ამის თაობაზე ინფორმაცია გაავრცელეს ერაყის სპორტულმა ჩინოვნიკებმა. მათი თქმით, ალი შაკირი გაიტაცეს ქალაქ ლაჩეიჯიას შორიახლოს, რომელიც ბაღდადიდან სამხრეთით 30 კილომეტრითაა დაშორებული.

„ბოევიკებმა“ შაკირის მანქანა მათ მიერ დაყენებულ ბლოკპოსტიან გააჩერეს, მანქანიდან სპორტსმენის დედაც გადმოსვეს, მერე კი შაკირთან ერთად სხვა მანქანით გაურკვეველი მიმართულებით გაუჩინარდნენ.

გამტაცებლებს ჯერ არავითარი მოთხოვნა არ წამოუყენებიათ.

თავდასხმა ვიტალი კლიჩკოზე



ვიტალი კლიჩკო

ვიტალი კლიჩკოს სახელის ირგვლივ ბოლო დროს დიდი აჟიოტაჟია ატეხილი. რომელსაც მისივე კონკურენტები ამძაფრებენ.

საიდუმლო არ არის, რომ უკრაინელი მოკრივის ამჟამინდელი სტატუსი, რომელიც მსოფლიოს საკრივო საბჭოს (**WBA**) ვერსიით ჩემპიონის ქამრის მფლობელია, ოკეანგაღმა პრომოუთერებს არც ისე ახარებთ. ისინი ხელიდან არ უშვებენ არცერთ შემთხვევას, რათა თავიანთი მთავარი ოპონენტი დაკნინონ. მეტიც, ზოგ-ზოგებმა კლიჩკოს „სუსტთა შორის უძლიერესის" იარლიყიც კი მიაწება და იმაზეც მანიშნებენ, რომ სხვა ვერსიებით ჩემპიონები ჯეიმს ტოუნი და კრის ბერდი უფრო სუსტები არიან. მეტიც — მათზე სუსტი მძიმეწონიანი მოკრივეები არ არსებობენო.

ახლა ცნობილი გახდა, რომ კლიჩკო უფროსის შემდგომი მეტოქე იქნება არც ისე ცნობილი, მაგრამ ამერიკაში მეტად პოპულარული კელვინ ბროკი, რომლის წარმომადგენელიც გახლავთ პრომოუთერული კომპანია **EVENTS**-ის ვიცეპრეზიდენტი კარლ მორეტი. მორეტმ განაცხადა, რომ ხელმოწერილია პრინციპული შეთანხმება ბრძოლაზე, რომელიც 24 სექტემბერს უნდა გაიმართოს.

ამასთან, მორეტის თქმით, კლიჩკოს **WBC**-სგან უკვე აქვს ტიტულის ნებაყოფლობით დაცვის უფლება, რომელიც მან ჯერ კიდევ მაისში ჰასიმ რაჰმანისა და მონტი ბარეტის შესარჩევი ბრძოლის დანიშნისთანავე მიიღო.

სპეციალისტთა და გულშემატკივართა უმრავლესობა ფიქრობს, რომ ჩემპიონმა თავისი ტიტულის დასაცავად მეტისმეტად სუსტი ოპონენტი შეარჩია. გაცილებით კარგი სანახავი იქნებოდა კლიჩკოს ბრძოლა რაჰმანსა და ბარეტს შორის გამარჯვებულთან შეხვედრის შემთხვევაში.

უკრაინელი მოკრივის წარმომადგენლები სრულიად სერიოზულად აცხადებენ, რომ ხუთ კვირაზე ცოტა მეტი დრო, რომელიც ბრძოლათა თარიღებს გავაშორებს (კლიჩკო ამ დროის გადატანაზე კატეგორიულად უარსაა) — ის არ არის, რომელიც ვიტალის მეტოქის ძალების აღსადგენად და სრულფასოვნად მოსამზადებლად ეყოფა. იმავდროულად, თავად რაჰმანი და ბარეტი, რომელთა უკანაც დონ კინგის ოდიოზური ფიგურა დგას, სხვა აზრისა არიან და ამბობენ, რომ მათ ეს დროის შუალედი თავზე საყრელად ეყოფათ. ამასთან, მათ ვერბალურ თავდასხმებსა და აღშფოთებას ბოლო არ უჩანს. იგივე რაჰმანმა ორჯერ მიმართა **WBC**-ს თხოვნით, რათა — „ვიტალი კლიჩკომ წერტილი დაუსვას თავად საბჭოსა და საერთოდ კრივის დისკრედიტაციის მცდელობას და დაავალდებულონ იგი რაჰმან-ბარეტს შორის გამარჯვებულთან ტიტულის დასაცავად."

განზე არც ბარეტი რჩება.

„**WBC** გვემავს ჩაატაროს კენჭისყრა იმის თაობაზე, მისცენ თუ არა კლიჩკოს ბროკთან ან ვინმე სხვასთან შეხვედრის საშუალება. ერთადერთი სამართლიანი ვარიანტი იქნება ნებაყოფლობით ბრძოლაზე უარის თქმა და სავალდებულო პრეტენდენტთან შეხვედრის სავალდებულო მოთხოვნა, რასაც უარის შემთხვევაში ტიტულის ჩამორთმევა მოჰყვება" — ამბობს ბარეტის წარმომადგენელი მარიტ ბორაო.

აქვე უნდა ითქვას, რომ **WBC**-მ მართლაც გადაწყვიტა კენჭისყრის ჩატარება. ოღონდ ამ ფაქტს აბსოლუტურად არ მოუხდენია გავლენა ბროკთან კლიჩკოს ბრძოლის თაობაზე მოლაპარაკებისთვის.

კაცმა რომ თქვას, რაჰმანისა და ბარეტის მოთხოვნები სამართლიანია. **WBC** სერიოზული ორგანიზაციაა და მისი მოთხოვნები უეჭველად უნდა შესრულდეს. კლიჩკოს, როგორც მსოფლიოს ჩემპიონს, უფლება აქვს წამოაყენოს თავისი პირობები, მაგრამ ეს ჩვეულებრივ მაშინ ხდება, როცა საუბარი ფულზეა. ამ შემთხვევაში კი ყველაფერი პირიქითაა. ბარეტი და მითუმეტეს რაჰმანი ფინანსური თვალსაზრისით უფრო ხელსაყრელი მეტოქეები არიან. რა თქმა უნდა, ვიტალის შეუძლია ტრავმის გამო (კლიჩკოს წელთან დაკავშირებით პრობლემები ჰქონდა) დაჟინებით მოითხოვოს რინგზე დაბრუნებისთანავე შედარებით სუსტ მეტოქესთან შეხვედრა და არა მსოფლიოს ექსჩემპიონთან ბრძოლა. ოღონდ არ უნდა დავივიწყოთ, რომ თუნდაც იმ შემთხვევაში, თუ **WBC** უკრაინელის აზრს გაიზიარებს, მაშინ ეს მის საკრივო კარიერას არანაირ სიმაღლეს არ შესძენს.

დორტმუნდის სუპერტურნირი

დორტმუნდი, გერმანია 8 - 17 ივლისი

VI ტური

ლუკ ვან ველი (ჰოლანდია)	1:0	ემილ სუტოვსკი (ისრაელი)
ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი)	0,5:0,5	პეტერ სვიდლერი (რუსეთი)
პეტერ ლეკო (უნგრეთი)	0,5:0,5	ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი)
მაიკლ ადამსი (ინგლისი)	1:0	პეტერ ჰაინე ნილსენი (დანია)
არკადი ნაიდიჩი (გერმანია)	0,5:0,5	ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი)

პატარა ნაიდიჩი იზრდება

ლუკ ვან ველი (მარცხნივ)

ჰოლანდიელი დიდოსტატი ლუკ ვან ველი სუპერტურნირის ერთპიროვნული ლიდერი გახდა და მან ეს ებრაელი მოჭადრაკის ემილ სუტოვსკის ძლევით მოახერხა. ახლა ვან ველს ყველაზე მეტი, სამი მოგება აქვს და უახლოეს სამ მდევარს ნახევარი ქულით უსწრებს.

ვან ველმა და სუტოვსკიმ გრინუნფელდის დაცვა გაითამაშეს. დებიუტში მათ რამდენიმე ფიგურა გაცვალეს, ფლანგების გაძლიერებას შეუდგნენ და მე-10 სვლაზე როქი ითამაშეს. ებრაელმა მეფე დაცულად იგულა თუ არა, იერიშებს შეუდგა, ჰოლანდიელს წყობა აუშალა და მე-14 სვლაზე კუთი ეტლი ააცალა. მდგომარეობის გამოსასწორებლად ვან ველი მსუბუქი ფიგურებით მიაწვა სუტოვსკის, ხელმწიფის ფლანგიდან მძიმედ დაარტყა და 32-ე სვლაზე ხარისხი გაათანაბრა.

ჰოლანდიელი ამის შემდეგ უფრო გააქტიურდა, იერიშები გააძლიერა, 37-ე სვლაზე ხარისხით თვითონ დაწინაურდა და ამით ფაქტობრივად თამაშის ბედი გადაწყვიტა. მეტოქეები პაიკების გაყვანას შეუდგნენ, სადაც უპირატესობაში მყოფმა ვან ველმა იძალა და 71-ე სვლაზე მსუყე ქულა აიღო.

შეგახსენებთ, რომ სუტოვსკი ამ ტურნირზე „აეროფლოტ ოუფენის" მოგებით მოხვდა, მაგრამ ჯერჯერობით დორტმუნდში ღირებული არა გაუკეთებია რა.

რუსული პარტია გაითამაშეს ახალგაზრდა გერმანელმა არკადი ნაიდიჩმა და კლასიკური ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონმა, რუსმა ვლადიმერ კრამნიკმა.

რუსი თავიდანვე იერიშებს შეუდგა, ნაიდიჩმა კი პირიქით, წინ წასვლა არ იჩქარა, ჯერ მეფე საიმედოდ დაბინავა და მტრისთვის შემზეგ მოიცალა. თამაში ორმხრივ იერიშებში გაგრძელდა, თუმცა ძირითადად კრამნიკი უტევდა, ნაიდიჩი კი უფრო თავს იცავდა და ხანდახან კონტრშეტევებით პასუხობდა. როგორც ჩანს, გერმანელს მალე მობეზრდა ასეთი თამაში, 54-ე სვლიდან რუსის მეფეს ქიშებით სვლები სამჯერ გაამეორებინა და ზავზე დაიყოლია.

თამაშის ბოლოს სპეციალისტებმა 19 წლის ნაიდიჩის რიგითი თამაში აღნიშნეს და განაცხადეს, ამ ბიჭისგან კარგი მოჭადრაკე დადგებაო.

ზედიზედ მეექვსე ყაიმი ითამაშა რუსეთის მრავალგზის ჩემპიონმა პეტერ სვიდლერმა და სამი ქულით მეხუთე ადგილზე ეურეუტებს.

ლაშა გეგეჭკორი



ვან ველმა 71-ე სვლაზე მოიგო

1	ლუკ ვან ველი (ჰოლანდია)	4
2	პეტელ ლეკო (უნგრეთი)	3,5
3	არკადი ნაიდიჩი (გერმანია)	3,5
4	მაიკლ ადამსი (ინგლისი)	3,5
5	პეტერ სვიდლერი (რუსეთი)	3
6	ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი)	3
7	ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი)	2,5
8	პეტერ ჰაინე ნილსენი (დანია)	2,5
9	ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი)	2,5
10	ემილ სუტოვსკი (ისრაელი)	2

რა დროს ქორწილია, როცა მოტორი ბღუვის

ცნობილი ესპანელი მოტომრბოლი, ფონსი ნიეტო საგონებელში ჩავარდნილა — შემოდგომაზე ქორწილი ჰქონდა დანიშნული ესპანეთის ცნობილ მოდელ არიადნა არტილაისთან, რომელიც მრავალი ჟურნალისთვის პოზიორობს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ საშემოდგომოდ ამ საქმისგან არაფერი გამოვა. ამის მიზეზი ფონსი ნიეტოს სპორტული კარიერაა. იგი DUCATI SC CARACCHI-ის გუნდის წევრია და გენერალურ კლასიფიკაციაში 24 ქულით მე-17 ადგილზე დამკვიდრებულა. მიუხედავად იმისა, რომ ფონსის უმნიშვნელო შანსი აქვს თავისი პოზიციის გასაუმჯობესებლად, იგი მაინც თავგამოდებით ვარჯიშობს და საქორწილოდ ვეღარ იცლის.

ახლა მიჯნურთა ეს წყვილი, თუკი ცოტაოდენი თავისუფალი დრო გამოუჩნდა, ფონსის მჭიდრო გრაფიკში თავისუფალი დღის გამოძებნას ცდილობს, რათა იგი ქორწილით დააგვირგვინონ.

ისე, ნიეტოსთვის ამ ქორწინების იძულებითი გადადება მისწრებაა. ჯერ ერთი, არიადნას ძალიან უნდა ჰყავდეს შვილები, ფონსი კი ყველანაირად ცდილობს ამ საქმის გადადებას.

„მე ძალიან მიყვარს ბავშვები, ბავშვებს კი მე ვუყვარვარ ძალიან, მაგრამ ჯერ მამობისთვის მზად არ ვარ", — ამბობს მრბოლი.

ამასთან, სპორტსმენს ვერაფრით დაუვიწყებია თავისი ყოფილი მეგობარი ელზა პატაკი, რომელთანაც საკმაოდ დიდი ხნის რომანი ჰქონდა.

„ვწუხვარ, რომ ელზას არ შეუძლია ჩემი ქორწილის დამშვენება, არადა, ეს ძალიან გამიხარდებოდა" — წუხს ფონსი.



არიადნა არტილა



AFP მონრეალიდან

ᲭᲣᲯᲘ!

ეს ყირამალა გოგო კანადელი ემილი ჰეიმანსია, რომელიც მის სამშობლოში დღეს დაწყებული ცურვის მსოფლიო ჩემპიონატის წინ ვარჯიშობს. ეს უკანასკნელშეერილი ბიჭები კი მისი ინგლისელი კოლეგები ლიონ ტეილორი და პიტ უოტერფილდი გახლავან. მათი ამოცანა წყალში სინქრონულად ჩახტომაა.



AFP მონრეალიდან

ᲑᲔᲙᲘ ᲞᲚᲣᲡ ᲚᲔᲘᲢᲝᲜᲘ

ბეკ კარტრაიტი (შუაში) იმიტომ იღიმება, რომ საქმრო უყვარს, [illegible] და არგენტინელ გილერმო კორიას უგებს. მერედა, ბეკის საქმრო უბრალო ვინმე არ გეგონოთ, ავსტრალიელი ლეიტონ პიუიტია, რომელიც კორიასთან დევისის თასმა დაკავშირა.

AFP სიდნეიდან

ᲐᲘ, ᲗᲘᲗᲘ

ანათითი, ბანათითი, რომელია... უფრო სწორად, აბა, ვისი თითებია ფოტოზე? მიგანიშნებთ: ამ თითების აყოლებაზე რომ კაცია, შოტლანდიაში, სენტ ენდრიუსში, გოლფის ღია 134-ე ტურნირში მონაწილეობს და ალბათ, მოიგებს. მართალია, ის ტაიგერ ვუდსი გახლავთ.

AFP სიდნეიდან

AFP მონრეალიდან

ᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲯᲐᲮᲔᲑᲐ

ერთ წამში იაპონელი ჩიე იოშიზავა ჰოლანდიელების, ინგრიდ ვისერისა და რიტე ფლეედერუსის ბლოკს გაარღვევს. ეს ქალთა გრან პრია.

AFP სიდნეიდან

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჯედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნარიმანიშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან კელურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნოელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ჩოფუნა ბუხუნაშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208, ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge